# ახალგაზრდა ივერიელი

დაარსდა 1921 წელს

21 სექტემბერი, შაბათი, 1991

№ 107-108 (11740-41)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 20 კაპ.


## გვახსოვდეს სამაჩაბლო

ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ყველა ცივილიზებულ ერს გამოუვლია. ჩვენ გვწამს, რომ წყალი მალე დაიწმინდება, თავისუფლების მოყვარული ქართველი ერი მიაღწევს მიზანს.

მაგრამ დღეს მძიმე, კრიზისული დღეები უდგას ჩვენს სამშობლოს და, ბუნებრივია, რომ მტრები ცდილობენ ისარგებლონ ამით, ცდილობენ კიდევ ერთხელ დაჩეხონ საქართველოს სხეული, ის სეპარატისტები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ყურებჩამოყრილი იყვნენ მათ წამქეზებელთა — კომუნისტ და ხალდაფონ პუტჩისტთა დამარცხების გამო, დღეს კვლავ გული მიეცათ. მათი მოსკოველი „მოამაგეებიც" მოცოცხლდნენ. ერთნიც და მეორენიც ცდილობენ, დრო იხელთონ და სანამ უჭირს საქართველოს, ხანჯალი ჩასცენ ზურგში.

ამის დასტურია ცენტრალური ტელევიზიით ორჯერ შემოთავაზებული წინადადება — „სამხრეთ ოსეთის" პრობლემა ადგილობრივი მოსახლეობის რეფერენდუმით გადავწყვიტოთო. სხვათაშორის, აფხაზეთისთვის ამ ვარიანტს არ გვთავაზობენ. გასაგებია რატომაც — აფხაზეთში, „სამხრეთ ოსეთისგან" განსხვავებით, არ აქვთ გარანტირებული სასურველი შედეგი.

დიახ, დღეს ძალიან უჭირს საქართველოს, მაგრამ მაინც არც ერთი წუთით არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი სამშობლოს სხეულის მტრისგან დაწყლულებული ნაწილები — პირველყოვლისა სამაჩაბლო, სისხლიანი იარა.

ოსმა სეპარატისტებმაც, მათმა მოსკოველმა პატრონებმაც უნდა იცოდნენ: რაც არ უნდა ხდებოდეს საქართველოში, ჩვენ არ დავთმობთ მშობლიური მიწის არცერთ გოჯს.

უახლოეს ხანებში ოფიციალური პასუხი უნდა გაეცეთ მათ, ვინც სამაჩაბლოში რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს. რამდენადაც არ უნდა გვიჭირდეს, რაოდენ დიდი პრობლემების წინაშეც არ უნდა ვიდგეთ, ნუ დავივიწყებთ — ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ.




რომან ქარქუსაშვილის ნახატი.

## ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა:

— **ჯონი მიხეილის ძე ფირცხალაიშვილი** საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად.

— **ნოდარ ქუჩუკის ძე გიორგაძე** საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე — დღე პირველი**

# შეიქმნა კიდევ ერთი ფრაქცია

**19 სექტემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის მეორე სესიის მეორე სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბატონი ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ. სხდომას ესწრებოდა პრეზიდენტი, ბატონი ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ.**

უკვე მერამდენედ დეპუტატები სხდომის დასაწყისშივე ითხოვენ დატოვონ დარბაზი სტუმრებმა, რომლებიც ხელს უშლიან სხდომას. ამჯერად, შეიძლება ითქვას, მსგავსი „მცირე ინციდენტი" იქცა ურთიერთ შეხლა-შემოხლის მიზეზად და ის პარლამენტისთვის არცთუ მთლად მისაღებ ფორმებში წარიმართა როგორც სხდომის პრეზიდიუმის, ისე დარბაზში მსხდომთა მხრიდან. ერთ მომენტში, მიიჩნია რა პრეზიდენტმა მ. კოსტავას საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან ნათქვამი პირად შეურაცხყოფად, დარბაზში პროკურორის შემოსვლაც კი მოითხოვა, და სხდომის თავმჯდომარეს ბატონ აკაკი ასათიანს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა დაეცვა ელემენტარული სამართლებრივი და საპარლამენტო ნორმები და სხდომა გაგრძელებულიყო.

●

უკანასკნელ ხანს უზენაეს საბჭოში, და არამარტო იქ, პოლიტიკურ ძალთა და მოსაზრებათა მკვეთრი პოლარიზების გამო, არავისთვის არ აღმოჩნდა მოულოდნელი, როცა დეპუტატებმა — თ. პაატაშვილმა, გ. ჩორგოლაშვილმა, მ. ურიდიამ ი. მელაშვილმა გ. კობერიძემ, მ. კვანჭილაშვილმა, მ. დვალიშვილმა და თ. დიხამინჯიამ გამოაცხადეს საპარლამენტო ფრაქციის — „ქარტია-91"-ის დაარსება. ახალი ფრაქციის განცხადებას დღევანდელ ნომერშივე გთავაზობთ.

იმ დღეს არც სახალხო ფრონტის განცხადება გაისმა სიახლედ ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალების, კერძოდ, ტელევიზიის მხრივ არასწორი ინფორმაციის გადაცემების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ კანონის დარღვევების გამო, ვინაიდან უკანასკნელ ხანს პრაქტიკულად, უკონტროლო მოდად (თუ კანონად არა) იქცა, ადგილობრივი გაზეთების დახურვის, ცენტრალური გაზეთების არდაბეჭდვის, ტელეგადაცემების გამორთვის პრაქტიკა. ეს მოსაზრება მოგვიანებით მთლიანად უარყო პრეზიდენტმა.

იშვიათ შემთხვევად შეგვიძლია მივიჩნიოთ ჩვენი პარლამენტის პრაქტიკაში, როცა დაგეგმილი საკითხი ვერ აგროვებს ხმების საკმაო რაოდენობას. ასე დაემართა მეორე საკითხს — „საქართველოს რესპუბლიკის კანონი უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ 1990 წლის 7 დეკემბრის კანონში დამატებების შეტანის თაობაზე".

მაგრამ, ასეა თუ ისე, ეს იყო თავისებური პრელუდია დღის წესრიგის მე-4 უმნიშვნელოვანესი საკითხისა საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ, რომლის ტონალობისა და ხასიათის განსაზღვრასაც შეეცადა პრეზიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდია თავის მოხსენებაში. პრეზიდენტმა ძირითადად აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში შექმნილ რთულ ვითარებას იგი მხოლოდ ოპოზიციას არ აბრალებს და მასში ხელისუფლებასაც მიუძღვის წილი, მაგრამ იქვე განმარტა, რომ არა ისე, როგორც სურთ წარმოადგინონ. მისი თქმით, ძირითადი ბრალდება იმის შესახებ, რომ ხელისუფლება არ ასრულებს წინასაარჩევნო პროგრამას, საფუძველსაა მოკლებული. მან თავის სიტყვაში ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნა საპარლამენტო ოპოზიცია, რომელსაც იგი ცნობს და ფსევდო-ოპოზიცია, რომელსაც არ ცნობს, ვინაიდან მას შეაქვს დესტაბილიზაცია, აწყობს უკანონო აქციებს, იბრძვის კანონიერი, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ. მოუწოდა საპარლამენტო ოპოზიციას გაემჯიჯნოს მათ, მოერიდოს მათთან ალიანსს, ნუ მოქმედებენ მათი მეთოდებით, რადგან


(დასასრული მე-2 გვ.).


## დღის რეპორტაჟი

### ქართველები... ბარიკადების სხვადასხვა მხარეს

თბილისი, 16—20 სექტემბერი


იხ. მე-4-5 გვ.

(დასასრული)

ეს არ შეესაბამება მათ სტატუსს. შემდეგ ბატონმა პრეზიდენტმა ისაუბრა მიწის პრივატიზაციის, სხვა დემოკრატიული გარდაქმნების შესახებ, რომელთა განხორციელების დაგვიანებაც საკანონმდებლო საფუძვლის არქონით ახსნა და აღნიშნა, რომ ამაში ძირითადად პარლამენტია პასუხისმგებელი, თუმცა თვით მას პირადადაც არ მოუხსნია პასუხისმგებლობა. თავის სიტყვაში პრეზიდენტმა მოუწოდა ოპოზიციას დიალოგისკენ, კონსოლიდაციისკენ, პარლამენტის ნორმალური ფუნქციონირებისკენ, რათა ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი შენარჩუნებულ იქნას, რომ არსებული დაპირისპირებით არ ისარგებლონ იმპერიულმა ძალებმა. რესპუბლიკაში უნდა აღსდგეს წესრიგი, კანონიერება, რომ ურთიერთგაგებას უნდა დაეფუძნოს პოლიტიკურ ძალთა ურთიერთობა.

დეპუტატთა გადაწყვეტილებით, მკაცრად იქნა რეგლამენტირებული პრეზიდენტის მოხსენების განხილვა. შევეცდებით თანამომხსენებელთა და მოკამათეთა რამდენიმე გამოსვლის ძირითადი აზრი მოგაწოდოთ:

**თეიმურაზ ქორიძე** (ჰელსინკის კავშირი). თავის გამოსვლაში იგი შეეცადა აეხსნა მიმდინარე მოვლენების მიზეზები. მან არ გაიზიარა ის აზრი, რომ შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია ძირითადად 2 სექტემბრის ინციდენტმა განაპირობა. მისი აზრით, ის ბევრად ადრე დაიწყო და ამის საბუთად მოიყვანა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას გამონათქვამები (გადაცემული რადიო — „თავისუფლებაში" და დაბეჭდილი ამ პარტიის გაზეთში), რომ მისი მიზანია პარლამენტის დისკრედიტაცია და ხელისუფლების დამხობა; ისინი ებრძვიან პირადად ზ. გამსახურდიას და ის ეპისკოპოსადაც რომ დაინიშნოს, ბრძოლა ახლა ეპისკოპოსობისთვის გაჩაღდება, როგორც ახლა ის პრეზიდენტობისათვის და ხელისუფლებისათვის მიდის. მან დღევანდელი ხელისუფლების არცთუ სასურველი იმიჯის შექმნაში პირველ რიგში ბრალი დასდო საქართველოს მტრებს, საკავშირო გაზეთებს, ტელევიზიას, რომელთაც მიზანში ჰყავთ ამოღებული ბატონი ზ. გამსახურდია, რომელიც დღეს განასახიერებს საქართველოს თავისუფლების იდეას.

თავის გამოსვლაში ბატონი თ. ქორიძე შეეხო საქართველოს ტელევიზიის პრობლემას და აღნიშნა, რომ ის სრულიად რეგულირებადია და სთხოვა ტელერადიო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას შეასრულოს კანონი პრესის და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ.

**ვაჟა ადამია** (მ. კოსტავას საზოგადოება). მან კმაყოფილება გამოთქვა იმის შესახებ, რომ არის საშუალება საკუთარი აზრის გამოთქმისა. საკმაოდ მკვეთრი იყო მისი აზრი იმის შესახებ, რომ იგი არ თვლის მ. კოსტავას საზოგადოებას ოპოზიციად, რადგან ჩვენ არსად არ წავსულვართ და ისინი უნდა მოეგონ გონს, ვინც ჩვენგან წავიდა—მათთვის კომპასი მ. კოსტავას საზოგადოება იქნება. მისი აზრით, ოპოზიცია ის ძალაა, რომელსაც ბატონი პრეზიდენტი დაჟინებით ეგრეთ წოდებულ ოპოზიციას უწოდებს. მათ პლაკატებზე ჩვენი შეცდომებია დაწერილი. გამწვავებული ვითარების დასაძლევად არავის წარუდგენია კონსტრუქციული წინადადებანი (მას ამაზე ადგილიდან არ დაეთანხმა თ. პაატაშვილი), ყოველშემთხვევაში, ჩემთვის არაა ცნობილი სხვა გეგმა, გარდა იმისა, თუ როგორ დავაყენოთ ავტობუსები უზენაეს საბჭოსთანო (სხვათაშორის, რატომღაც ყველას გამორჩა, რომ პირველად, ბარიკადების გაჩენამდე, რუსთაველის პროსპექტი, უზენაესი საბჭოს მიმდებარე ტერიტორია იქნა ჩახერგილი ავტობუსებით — რედ.). დაახლოებით ერთი კვირის უკან მ. კოსტავას საზოგადოებამ პირადად ბატონ პრეზიდენტს კონფედენციალურად წაუყენა კონკრეტული გეგმა. თუ ის განხორციელდებოდა, ჩვენ ვილებდით პასუხისმგებლობას იმაზე, რომ მდგომარეობა რამდენიმე დღეში უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დავაყენეთ საკითხი პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვის შესახებ, ის მაინც არ განიხილება სესიაზე. ბატონმა ვაჟა ადამიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარლამენტი არ უნდა მოერიდოს ასეთი საკითხების განხილვას, რომ შექმნილი სიტუაცია, რაც განაპირობა ყველა სფეროში დაშვებულმა შეცდომებმა, მან ჯერ კიდევ ზამთარში იწინასწარმეტყველა და მაინც არავის არ უნდა სიმართლეს თვალებში შეხედოს, და როცა საკითხი პრეზიდენტის უფლებამოსილებას და პრეზიდიუმს შეეხება, პირში წყალს იგუბებენ.

დასასრულს ბატონმა ვ. ადამიამ სთხოვა დეპუტატებს, გამოიჩინონ კეთილგონიერება და განსხვავებულ აზრს ნუ შეაფასებენ როგორც მტრის მიერ წარმოთქმულს და რომ იგი მზადაა შეუერთდეს სიტუაციის განმუხტვის უკეთეს გეგმას, თუ ასეთი გამოჩნდება.

**აკაკი ასათიანი** (ტრადიციონალისტთა კავშირი). მისი აზრით ხელისუფლებამ (და არა მარტო მრგვალმა მაგიდამ) უნდა გაიცნობიეროს პასუხისმგებლობა და აღიაროს შეცდომები, ოღონდ ამას არ უნდა მოჰყვეს დესტრუქცია და გაშმაგება; ჩვენ გვაკლია პარლამენტური მუშაობის, პოლიტიკურ ურთიერთობათა გამოცდილება და ის უფრო ძნელდება იმის გამო, რომ დაპირისპირება მიუღებელი პოზიციებიდან ხდება. ბატონმა ა. ასათიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათთვის გაუგებარია მოთხოვნები გადადგომისა და დამხობის შესახებ. ხელისუფლებაც იძულებულია გადადგას საპასუხო ნაბიჯები. საჭიროა მოლაპარაკება, ყველა ვალდებულია გაითვითცნობიეროს პასუხისმგებლობა და ყველაფერს თავის სახელი უნდა დაერქვას, დაუშვებელს — დაუშვებელის, მიუღებელს — მიუღებელის. თუ არ იქნება ურთიერთკავშირის სურვილი, ყველაფერი სავალალოდ დამთავრდება.

**ვახტანგ ცაგარეიშვილი** (ილია მართლის საზოგადოება). მან შექმნილი სიტუაცია იმ ბიბლიურ ამბავს შეადარა, როცა მოსემ აღთქმულ ქვეყანასთან მიიყვანა ერი და ის მას განუდგა. ღმერთმა ისინი დასაჯა და კიდევ 40 წელს დაეხეტებოდნენ უდაბნოში. მისი აზრით, დღეს იგივე მეორდება, რომ მისთვის ბატონი ზვიადი იგივე მოსეა და ამ გზიდან გადახვევა დაღუპვის ტოლფასია.

**ნემო ბურჭულაძე** (სახალხო ფრონტი — რადიკალური კავშირი). ჩვენ ხალხმა აგვირჩია და დაგვავალა შეგვექმნა საქართველოს დღევანდელი ისტორია, ამიტომაც გვჭირდება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა. გამომსვლელის აზრით, შესაძლოა ზოგიერთი იმ მოთხოვნის შესრულება, რომელსაც ოპოზიცია აყენებს, მაგრამ მიუღებელია ულტიმატუმის გზა, რომელსაც ისინი მიმართავენ. დიალოგი უზენაეს საბჭოში უნდა შედგეს. ეს არ მოხდება, ვიდრე ბარიკადებისგან არ გაიწმინდება რუსთაველის პროსპექტი. შეეხო რა პრეზიდენტის გადაყენება-არგადაყენების საკითხს, მან დეპუტატებს შეახსენა, რომ როცა პრეზიდენტის სტატუსის განხილვა იყო, ერთსახოვანი და დადებითი იყო აზრი, პრეზიდენტის დიდი უფლებამოსილების აუცილებლობის შესახებ.

**ნოდარ ნათაძე** (ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრი"). მან თავისი მოსაზრებები ძირითადად თეზისების სახით ჩამოაყალიბა — ვერ შევურიგდებით, რომ არსებობდნენ პოლიტპატიმრები; ვერ შევურიგდებით იმას, რომ პრეზიდენტი მოუწოდებს ხალხის ერთ ნაწილს მეორეს წინააღმდეგ ძალადობისაკენ (პრეზიდენტმა იქვე უარყო ეს ბრალდება); ვერ შევურიგდებით, რომ საქართველოში არსებობდეს ეკონომიკური სტაგნაციის პირობები; არ შეიძლება საქართველო ერთი დღე მაინც დარჩეს პარლამენტის გარეშე; ხელისუფლება ვალდებულია თავი მოუყაროს მათ, ვისაც აქვს ნება და გონება; საჭიროა საპარლამენტო ჯგუფი, რომელიც თვალს მიადევნებს, ვინმე ხომ არ ცდილობს სამხედრო ძალებთან კავშირს; პოლიტიკური მოხსენება არ იყო სრული, არაფერი ითქვა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ამბებზე და სხვა. ჩვენი მოთხოვნაა გაუქმდეს პრეზიდენტის ინსტიტუტი, ვადამდე ჩატარდეს პარლამენტის არჩევნები.

**თედო პაატაშვილი** (ფრაქცია „ქარტია-91"). 10 თვე გავიდა ჩვენი ბლოკის გამარჯვებიდან და არავის ეგონა, რომ ასე სწრაფად დადგებოდა კრიზისი. „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო" ფაქტობრივად ერთპიროვნულ მმართველობას ახორციელებდა და პასუხისმგებლობაც ჩვენ და პრეზიდენტს უნდა დაეკისროს. გამომსვლელის აზრით, შეუძლებელია მდგომარეობის გამოსწორება, თუ სრული სიმართლე არ ითქვა, რომ პრეზიდენტს სწორედ ის ხალხი აკლია, ვინც ეტყვის მას სიმართლეს.

შეეხო რა საქართველოს ცნობის საკითხს, მან აღნიშნა, რომ პირველ რიგში საჭიროა, რომ საქართველო აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, ცივილიზებული ქვეყნები რომ გვიყენებენ, შემდეგ ბატონმა თედო პაატაშვილმა გააკრიტიკა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა, კერძოდ, თათრეთთან დადებული ხელშეკრულება, აგრეთვე რუსეთთან დამყარებული ურთიერთობები და სხვა. მან პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ვინაიდან ერთმა ჯგუფმა დატოვა წინა სხდომა, ისინი მოღალატეებად და პუტჩისტებად მონათლეს.

ბატონი თედო პაატაშვილის პასუხად, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ შემდგომ თავის განცხადებაში, რუსეთთან ურთიერთობის გაუარესების მიზეზად დაასახელა არა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები, არამედ ის, რომ ახლა ფაქტობრივად მიმდინარეობს რუსეთის იმპერიის მოდერნიზება და რომ ამ ურთიერთობებს მათი ახალი, იმპერიული კურსი განსაზღვრავს და ამჟამად მას ყველა რესპუბლიკასთან აქვს ასეთი ურთიერთობები.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანთა უფლებების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ბატონი **ავთანდილ იმნაძე**. ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება მკითხველისათვის გაეცნოს ამ ტექსტს მთლიანად:

### პატივცემულო დეპუტატებო!

როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ მე და ჩემი კავშირის (ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი) რამდენიმე წევრმა პროტესტის ნიშნად დავტოვეთ სესიის სხდომა. ეს პროტესტი მიმართული იყო არა იმდენად იმის წინააღმდეგ, რომ არ შედგა პირდაპირი ტელეტრანსლაცია (თუმცა პირადად მე წინასწარ განვაცხადე, რომ ამას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ და თუ არ იქნება პირდაპირი გადაცემა, ვუერთდები მათ, ვინც განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას სხდომის მსვლელობაში), არამედ უფრო იმის წინააღმდეგ, რომ მას შემდეგ, რაც სხდომა დატოვა 84-მა განსხვავებული აზრის მქონე დეპუტატებმა და სესია სრულყოფილი აღარ იქნებოდა, დეპუტატებმა უარყვეს ჩვენი მოთხოვნა სხდომის მეორე დღისათვის გადადების თაობაზე, ეს მაშინ, როდესაც გასულმა დეპუტატებმა განაცხადეს, რომ მეორე დღეს მოვიდოდნენ სესიაზე.

ყველაზე საგულისხმო და დამაფიქრებელი ჩემთვის ის იყო, რომ ჩემი კომისიის, ადამიანის უფლებათა კომისიის თხუთმეტი დეპუტატი წევრიდან მხოლოდ ოთხმა: ქალბატონმა მაია თომაძემ, ბატონმა ზურაბ კანდელაკმა, ბატონმა ზაურ ქობალიამ და მე მივეცით ხმა ადამიანის ელემენტარულ უფლებას — მიიღოს სწორი, პირდაპირი და დროული ინფორმაცია მისთვის საინტერესო მოვლენაზე. უსუსურია ის არგუმენტი, თითქოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება პარლამენტის სხდომების პირდაპირი ტელეტრანსლაცია და ეს „საბჭოური გამოგონებაა". ჯერ ერთი ხდება, და მეორეც ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყნებში ჩვეულებრივ მოქალაქეებს ნაკლებად აინტერესებთ პოლიტიკა და კერძოდ, პარლამენტის სხდომები. ვისაც აინტერესებს, იმას აქვს საშუალება ნებისმიერ დროს ნახოს ან მოისმინოს იგი. ჩვენთან კი მთელი ხალხი მოუთმენლად ელოდა ჯერ სესიის გამართვას და მერე მის პირდაპირ ტელეტრანსლაციას.

ჩემთვის ყოვლად მოულოდნელი იყო მეორე დღესვე ჩვენი საქციელის შეფასება, როგორც მოღალატისა, ხოლო გუშინ, „მრგვალი მაგიდის" დეპუტატთა თათბირზე ბატონმა პრეზიდენტმა ჩვენ „პუტჩისტებიც" კი გვიწოდა.

მე არაერთხელ მითხოვია პრეზიდიუმის სხდომებზე ბატონი პრეზიდენტისთვის, რომ განსხვავებული აზრისა და თუნდაც ქცევისათვის ნუ გავიმეტებთ ადამიანებისათვის მოღალატისა თუ „კრემლის აგენტის" ეპითეტებს, ნუ მოვიკვეთთ ერთი ხელის მოსმით უახლოეს ადამიანებს. მაგრამ, ვაი, რომ ასეთი ეპითეტის მსხვერპლი თავად აღმოვჩნდი. მინდა განვაზოგადო ასეთი მოვლენა და ვთქვა, რომ მსგავსი იარლიყები ჩვენს პირად რეპუტაციას, თუნდაც თავმოყვარეობას, არამც და არამც არ შელახავს, შელახავს მხოლოდ ადამიანის უფლებას. ამ შემთხვევაში კი დეპუტატის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი. აღარ ვლაპარაკობ პარლამენტის დაშლის იმ გამუდმებულ მუქარაზე, რომელიც ხშირად გაისმის პრეზიდენტის მხრიდან. ამას ემატება სხვა, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, საშიშროება: ყველა 39 დეპუტატი, რომელმაც დატოვა წინა სესია, გასაწვევადაა განწირული. ეს არაორაზროვნად ითქვა „მრგვალი მაგიდის" დეპუტატთა გუშინდელ თათბირზე. გარდა ამისა, ცნობილია, რომ დეპუტატობიდან ჩემი (და არა მარტო ჩემი) გაწვევისათვის უკვე აგროვებენ ხელმოწერებს. არა მგონია, ბატონებო, ამან ხელი შეუწყოს სიტუაციის სტაბილიზაციას. ვგონებ, პირიქით, კრიზისულ სიტუაციას უფრო დაძაბავს. ჩვენგან - მოელიან ლიბერალიზაციას, შეცდომების აღიარებას, ჩვენ კი უფრო და უფრო ვუჭერთ ქანჩებს. უნდა გაგახსენოთ, ბატონო პრეზიდენტო, ერთ-ერთი თქვენი მეგობრის, როგორც მე ერთ ტელეგადაცემაში მოვისმინე, მწერალ გურამ რჩეულიშვილის ნათქვამი, რომ საკუთარი შეცდომების აღიარება სრულებითაც არ არის სისუსტე. პირიქით, ეს მხოლოდ ძლიერ ადამიანებს შეუძლიათ. განა არ სჯობდა ჩვენ თვითონვე დროულად გვეღიარებინა შეცდომა 2 სექტემბრის მიტინგის დარბევასთან დაკავშირებით და დაგვესაჯა მთავარი დამნაშავენი, არა მარტო ის, ვინც ისროლა, დაარტყა და სხვა, არამედ ის, ვინც მიიყვანა იქ კბილებამდე შეიარაღებული ე. წ. „ომონი" და დაარბია მიტინგი, მაშინ ხომ აღარ შეიქმნებოდა კრიზისული სიტუაცია. აღარც საპარლამენტო კომისიის შექმნა დაგვჭირდებოდა. თუ კი 2 სექტემბერი პროვოკაცია იყო, კრემლის, ცენტრის თუ ვისიც გნებავთ, ჩვენი დიდი სისუსტეა, რომ წამოვეგეთ ამ პროვოკაციაზე.

მიზეზებს ჩვენ სულ სხვაგან ვეძებთ. გუშინ ერთ-ერთი დეპუტატი მთელი სერიოზულობით იმასაც კი მიმტკიცებდა, თითქოს მთელი მსოფლიო შეთქმულია ჩვენს წინააღმდეგ. მე, პროფესიით რეჟისორს, მახსენდება თეატრალური ეთიკის ერთი შესანიშნავი დებულება: „მიზეზი ეძებე საკუთარ თავში". ეს დებულება, მე მგონია, არა მარტო თეატრალურ ეთიკას გამოადგებოდა.

ნურავინ იფიქრებს, რომ მე ხელის დაბანა მინდა და როგორც აქ ხშირად გაისმის ზოგიერთებისაგან, ჩასაძირად განწირული გემიდან გაქცევა მსურს. არა, ბატონებო! ჯერ ერთი, მე ასე არა მგონია და თუ მაინც ასეა, მე, ისევე როგორც ყოველი ჩვენთაგანი, ვერსად ვერ გავექცევი ჩემს წილ პასუხისმგებლობას, რასაც არ უნდა გავემიჯნო და ვისაც არ უნდა გავემიჯნო. ჩვენი პასუხისმგებლობა კი იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც მერაბ კოსტავას საზოგადოების დეპუტატთა ჯგუფი აცხადებს, ჩვენ განუსაზღვრელი უფლებები მივანიჭეთ ჩვენს პრეზიდენტს, შესაბამისად განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა ავკიდეთ და ჩვენ ხელები დავიბანეთ: დაე, მან იფიქროს და იმტვრიოს თავი ყველაფერზე, ჩვენ ტაშის დაკვრაც გვეყოფა.

ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ ვეძებოთ ერთადერთი, სწორი გამოსავალი შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან. ასეთად მე მეჩვენება ბატონ თედო პაატაშვილის განცხადება, რომ სახელმწიფოს მართვის ფრანგული მოდელი შევცვალოთ გერმანულით. აგრეთვე იმავე მერაბ კოსტავას საზოგადოების განცხადება პრეზიდიუმის გადადგომის შესახებ. პირადად მე, როგორც პრეზიდიუმის წევრი, მზად ვარ, გადავდგე, თუ ამას პარლამენტი ინებებს. ეს ჩემი აზრია, მაგრამ არ გამოვრიცხავ სხვა აზრსაც, თუკი ის გონივრული იქნება, თორემ „ქუდზე კაცის" მოწოდება და პოლიტპატიმრების მომრავლება ვერც ჩვენ გვიშველის რამეს და ვერც ქართველ ერს. გავიხსენოთ „კავკასიური ცარცის წრე". ნუ გავხლეჩთ ბავშვს შუაზე. მოვუწოდებ ჩვენთან დაპირისპირებულ მხარეებსაც — თავი შეიკავონ მაქსიმალისტური მოთხოვნებისაგან. ვცნოთ, ვაღიაროთ ერთმანეთი და დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან, როგორც ეს ცივილიზებულ ხალხს შეჰფერის. ნუ გავაცინებთ მტერს, ჭეშმარიტ მტერს.

●

დეპუტატთა გადაწყვეტილებით, საკითხების განხილვა მეორე დღისთვის გადაიდო. გუშინ სესიამ მუშაობა განაგრძო.

**მერაბ დავითაძე**

# ფრაქცია „ქარტია—91"-ის განცხადება

### პატივცემულო დეპუტატებო!

ბოლო თვეების განმავლობაში გამოიკვეთა არსებითი განსხვავებები ქვემორე ხელისმომწერ დეპუტატებისა და საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოდან" არჩეულ დეპუტატთა უმრავლესობის შეხედულებებს შორის. ეს ეხება როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის ძირითად საკითხებს. ჩვენ განსაკუთრებული უთანხმოება გვაქვს დეპუტატთა უმრავლესობასთან ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა რადიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, საქართველოში დემოკრატიული სტრუქტურებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბების აუცილებლობა და მათი როლის შეფასება ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის საქმეში. ყველა ეს საკითხი შედიოდა საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" საარჩევნო პროგრამაში, რომლის ძირითადი პრინციპები დიდწილად შეუსრულებელი რჩება. ასეთ ვითარებაში ჩვენ ვქმნით საპარლამენტო ფრაქციას — „ქარტია-91". ფრაქცია მზად არის კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის პარლამენტში და მის გარეთ არსებულ ყველა პოლიტიკურ პარტიასთან, საქართველოს კონსტიტუციისა და იმ პრინციპების საფუძველზე, რომელიც ჩამოყალიბებულია ჩვენი ინიციატივით შემუშავებულ დოკუმენტში — „ქარტია-91" საქართველოში საყოველთაო სამოქალაქო მშვიდობისათვის.

**თედო პაატაშვილი, გელა ჩორგოლაშვილი, მერაბ ურიდია, ირაკლი მელაშვილი, თენგიზ დიხამინჯია, გელა კობერიძე, მალხაზ კვანჭილაშვილი, მალხაზ დვალიშვილი.**

# პოზიცია

## გვიყვარხართ, გიფრთხილდებით, თქვენზე ვლოცულობთ!

„შანსის" ბოლო ნომერში დაბეჭდილ ერთ-ერთ ინტერვიუში საქართველოს ილია მართლის საზოგადოების მოშიმშილე წევრები, ბატონი მაუგლი ჩხიკვაძე და ბატონი გაიოზ ამირიძე ასეთ რამეს ამბობენ:

„...მათ მაინც არ ვთვლით მტრებად (ოპოზიცია იგულისხმება. რედ.), ღმერთმა დაგვიფაროს ისედაც მცირერიცხოვანმა ქართველებმა ერთმანეთი მოსისხლე მტრებად გავიხადოთ"...

ამავე გაზეთის მომდევნო ინტერვიუში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ბატონი ირაკლი წერეთელი აცხადებს:

„...ჩვენ არ მოვითხოვთ გამსახურდიას დაპატიმრებას, არც იარაღის გამოყენების მომხრეები ვართ..."

ეს სიტყვები ორივე მხარის პოზიციად მივიჩნიეთ და ამ უკიდურესად დაძაბულ დროში იმედი მოგვეცა, რომ ძმათა სისხლი არ დაიღვრება, გონიერება გაიმარჯვებს. ჯერ კიდევ არის იმედი, რომ ბარიკადების ორივე მხარეს განლაგებული ქართველები ბოლოს და ბოლოს მშვიდობიან მოლაპარაკებას დაიწყებენ. ბუნებით ტემპერამენტიანი სპორტსმენები, რომელთაც გააჩნიათ უდიდესი სულიერი და ფიზიკური პოტენციალი, შანსების სიმპატიები, დღეს სიდინჯისაკენ მოგიწოდებთ... არც ერთ და არც მეორე მხარეს არ მოგცემთ უფლებას თუნდაც ერთი ქართველის სისხლი დაღვაროთ! განა არ გვეყო ამდენი სისხლისღვრა?! თუმცა, ჯერ კიდევ გვჯერა, რომ ოფიციალური სახელმწიფოს ოფიციალური პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია უკიდურესად დაძაბულ საქართველოს სამოქალაქო ომის ზღვარს ჩამოაცილებს.

ორივე დაპირისპირებულ მხარეს საქართველოს სიყვარული ამოძრავებს და ამის ღრმა რწმენამ გვაფიქრებინა შუამავლის როლში გამოვსულიყავით. განა ცოტა ხნის წინათ არ იყო: ზვიადი, ირაკლი, გიორგი, მერაბი, (მაშინ მათ ასე, უბრალოდ, მოვიხსენიებდით დიდი სიყვარულის გამო) გვერდი გვერდ რომ იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის?...

ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ ისინი ხაზს გადაუსვამენ წარსულს და ერთმანეთს სასიკვდილოდ გაიმეტებენ... ბარიკადების ორივე მხარეს საქართველოს სიყვარულის ცეცხლი გიზგიზებს, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამ ცეცხლმა შთანთქას საქართველო...

აბა ერთ წუთს წარმოიდგინეთ, როგორ მოიქცეოდნენ სასიქადულო მამულიშვილები: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ცოტნე დადიანი... დროის ერთ სივრცეში რომ ეცხოვრათ და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ბარიკადების საწინააღმდეგო მხარეს აღმოჩენილიყვნენ. ჯერ ერთი, აქამდე არ მიიყვანდნენ საქმეს და თუ ეს მაინც მოხდებოდა, დიდი მამულიშვილები, ისე, როგორც ეს მათ გვარიშვილობას, მამულიშვილობას, მათ გენიას ეკადრება, დარბაისლურად დასხდებოდნენ მოსალაპარაკებლად, არ დაუშვებდნენ სისხლისღვრას და ძმათა შეჯახებას საქართველოში. თუ ერის ინტერესები მოითხოვდა გონივრულ კომპრომისზეც წავიდოდნენ... სასიკვდილოდ არ გაიმეტებდნენ დიდი ქართველები ერთმანეთს...

მაშ თქვენ რაღა გიშლით ხელს დიდი ვახტანგის, დიდი დავითის, დიდი ვაჟას... ილიას, აკაკის, ცოტნეს შთამომავალნო? გვარიშვილობა გაკლიათ, სიბრძნე თუ პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება? ან იქნებ საქართველო და ერი გიყვართ თქვენს მამებზე, თქვენს ბაბუებზე, თქვენს წინაპრებზე ნაკლებ? დასხედით მოსალაპარაკებლად! თუ საქართველოს ინტერესები მოითხოვს, გონივრულ დათმობაზეც წადით... ისე, როგორც ეს ეკადრება ჩვენი ერის კულტურას, ჩვენი ერის ისტორიას... კაცურად მოილაპარაკეთ!.. ნუ იტვირთავთ ყველაზე უდიდეს ცოდვას, ცოდვათა შორის, ნუ დაიდებთ ძმათა სისხლს... თქვენ ეს მოსვენებას დაგიკარგავთ სიცოცხლეში და საიქიოშიც გაგტანჯავთ უკუნითი-უკუნისამდე...

ბარიკადების ორივე მხარეს ჩვენი ძმები დგეხართ, ორივე მხარის სატკივარი თანაბრად გვტკივა. თუ ეშმაკმა გვაცდუნა და მაინც ომი დაიწყო საქართველოში, გამარჯვებული არ იქნება!.. დამარცხდება საქართველო!.. დაობლდება საქართველო!.. დაქვრივდება საქართველო!..

ბიჭებო, ძმებო, ჩვენ თქვენ ძალიან გვიყვარხართ, ამიტომ ნუ დაგვემდურებით, თუ ახლა ბარიკადების არც ერთ მხარეს არ ვდგევართ და თუ მაინც ტყვია გავარდება, იცოდეთ შუაში ჩავდგებით და ერთი ჩვენთაგანი მაინც თუ დაეცემა სასიკვდილოდ განწირული, თქვენს ნამუსზე იყოს...

დღეს მოგიწოდებთ ისინი, ვისაც ტაშს უკრავდა მსოფლიოს სტადიონები, ვისაც შორს გაჰქონდა საქართველოს სახელი, ვისაც გულშემატკივრობდა მთელი საქართველო! ნუ დააობლებ პატარა ქართველ ბიჭუნებს და გოგონებს, ვარსკვლავებს რომ ეთამაშებიან! ვინ იცის რა ბედი ეწვევათ უპატრონოდ დარჩენილთ... შემდეგ მოვლენ გაპარტახებულ საქართველოში ურჯულონი და როგორც იმ შორეულ ბედკრულ წარსულში იყო, პატარებს აღმოსავლეთის ბაზრებზე გაყიდიან მამლუქებად...

ღმერთმა ნუ ქნას...

**ლევან თედიაშვილი**, ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი;
**ომარ ფხაკაძე**, მსოფლიო ჩემპიონი;
**ვიქტორ სანეევი**, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი;
**ნელი სალაძე**, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი;
**ბუხუტი გურგენიძე**, საერთაშორისო დიდოსტატი;
**ნოდარ მოდებაძე**, მსოფლიო თასის მფლობელი და ევროპის ჩემპიონი;
**დონარა ჯანუყაშვილი**, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

## საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაციის განცხადება

საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაცია გმობს რა 2 სექტემბერს კინოს სახლთან გამართულ მიტინგზე ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენების ფაქტს, მიაჩნია, რომ ასეთი არასამართლებრივი მეთოდებით ოპოზიციურ აზრთან ბრძოლის გზა მიუღებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ჩვენ ვეთანხმებით საქართველოს სტუდენტური ახალგაზრდობის დროებითი კავშირის 10 სექტემბრის მიმართვას ქართველი საზოგადოებრიობისადმი და მიგვაჩნია, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები ერის ერთიანობისა და პოლიტიკური თანხმობისაკენ, იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციურ ძალებს შორის, აუცილებელია:

1) პრეზიდენტის ინსტიტუტთან შეიქმნას პოლიტიკური საბჭო (სათათბირო), სადაც პარიტეტულ საფუძველზე შევლენ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. [illegible] მასთან, სა[illegible] არ [illegible] ადგენდეს ოფიციალური ხელისუფლების სტრუქტურას ან მის დანამატს;

2) მიეცეს სრული თავისუფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს;

3) პრეზიდენტმა პოლიტიკურ საბჭოსთან თანამშრომლობით უნდა განახორციელოს მმართველი ხელისუფლების პოლიტიკური სტრუქტურების დემოკრატიული რეფორმები, რათა საბოლოოდ გაიმიჯნოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება;

4) ვინაიდან საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოება, უზენაესმა საბჭომ შეკვეცოს პრეზიდენტის უფლებები;

5) პოლიტიკურმა საბჭომ, პრეზიდენტთან შეთანხმებით, მოამზადოს სათანადო პირობები უზენაესი საბჭოს ახალი არჩევნების ჩასატარებლად.

იმედია, რომ ფართო საზოგადოებრიობა გულგრილი არ დარჩება ჩვენი განცხადების მიმართ.

**ასოციაციის სათათბირო**

## საქართველოს უზენაესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის" პროექტი უზენაესი საბჭოს რეზოლუციისა

1. პრეზიდენტის მოხსენება „საქართველოში პოლიტიკური ვითარების შესახებ" ეხება და აანალიზებს საქართველოში არსებული მდგომარეობის მხოლოდ ერთ ნაწილს — ქ. თბილისში საპროტესტო აქციის მომწყობი ორგანიზაციების და საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებას. მოხსენებაში არაფერია ნათქვამი არც შიდა ქართლის მდგომარეობაზე, არც საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო ცნობის პროცესის მდგომარეობაზე, მხოლოდ ზოგადი ფრაზით — რომ საწარმოთა და მიწის პრივატიზაციაა განზრახული — არის ლაპარაკი ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ამგვარად, პრეზიდენტის მოხსენება არადამაკმაყოფილებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

2. საქართველოს ხელისუფლების პასიურობა შიდა ქართლში, სადაც მოქმედებენ ოსი ეროვნების შეიარაღებული ბანდები, რომელნიც ქართველი მოსახლეობის მიმართ გენოციდსა და ტერორიზებას ეწევიან, რაც სტიქიურსა და არაორგანიზებულ რეაგირებას იწვევს ქართველი მოსახლეობის მხრიდან, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ეწინააღმდეგება სსრკ შინაგანი ჯარების მოქმედებას შიდა ქართლში, რაც ძირითადად ანტიქართული ბანდების მხარდაჭერაში მდგომარეობს, და რომ ამ ჯარების მოქმედება დაკანონებულიც იყო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზ. გამსახურდიას წინადადებით საქართველოს ხელისუფლების მიერ რამდენიმე თვით და ამასთან ერთად ქ. ცხინვალიდან საქართველოს მილიციის გამოყვანის ფაქტი, რამაც დაუცველი დატოვა მოსახლეობა, უნდა მიჩნეული იქნეს კაპიტულანტურ პოლიტიკად, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონიერსა და ყოველმხრივ გამართლებულ დადგენილებას უკანონო „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" გაუქმების შესახებ.

3. მოქალაქეების გიორგი ჭანტურიას და გიორგი ხაინდრავას დაპატიმრება ამ რამდენიმე დღის წინ მიჩნეულ უნდა იქნას პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებად და პრინციპულად დაუშვებლად.

4. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი ნაწილის დატოვება საქართველოში დღეს მიმდინარე სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესის გარეთ, ამ ეროვნულ ძალებთან საერთო ენის ვერგამონახვა და მათი დატოვება მარტოოდენ ქუჩაში მოქმედი ოპოზიციის როლში მიჩნეული უნდა იქნას ხელისუფლების მოქმედების არსებით მინუსად.

5. პრეზიდენტის გამოსვლები მიტინგებზე, რომლებშიც იგი მოუწოდებს მოსახლეობას ოპოზიციის „განადგურებისაკენ", მიჩნეულ უნდა იქნეს გაუმართლებლად მორალური და იურიდიული თვალსაზრისით, სახიფათოდ და ხელისუფლების, როგორც ასეთის ფუნქციასთან შეუთავსებლად.

6. კონსტატირებულ უნდა იქნას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის დემოკრატიული მსოფლიოს მიერ არსებით დაბრკოლებებს წარმოადგენს საქართველოში დემოკრატიის ნაკლებობა და სტაბილობის ნაკლებობა, რის გამოც აუცილებელია პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება, ერთის მხრივ, და შინაურ პოლიტიკაში ძალის გამოყენებისაგან მაქსიმალური თავშეკავება მეორეს მხრივ. ამასთანავე საჭიროა ცენტრალიზებული საგანგებო კომიტეტის შექმნა შიდა ქართლში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვისათვის შეიარაღებული ბანდების ალაგმვის გზით.

7. კონსტატირებულ უნდა იქნას, რომ ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის ტემპი არადამაკმაყოფილებელია და რადიკალურ დაჩქარებას მოითხოვს.

8. თქმულიდან გამომდინარე, უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციის მუშაობა, მიუხედავად რიგი დიდმნიშვნელოვანი და პოზიტიური ღონისძიებებისა, არ არის დამაკმაყოფილებელი. საქართველოს ხელისუფლებამ დიდწილად ვერ გამოიყენა ჩვენი ქვეყნის შინაური და საგარეო მდგომარეობის გამოსწორების, ჩვენი ეკონომიკური, პოლიტიკური, სათავდაცვო პრობლემების გადაჭრის ის შესაძლებლობები, რაც მას ხელთ ჰქონდა და ნაწილობრივ დღესაც აქვს.

უნდა შეიქმნას პარლამენტის კომისია 19–22 აგვისტოს ამბებზე საქართველოს ხელისუფლების რეაგირების შესასწავლად.

უნდა დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტის მიერ საქართველოს უზენაესი საბჭოს შესაძლო დაშლის პერსპექტივა, რომელსაც ხშირად ახსენებს პრეზიდენტი უზენაესი საბჭოს სხდომებზე, საქართველოსთვის მომაკვდინებლად სახიფათოა და, ამდენად, მიუღებელია. საქართველო არც ერთ დღეს არ უნდა დარჩეს პარლამენტის გარეშე, რომელიც მრავალი საგარეო და საშინაო იურიდიული შემოტევის მოგერიების ერთადერთი ორგანოა. უზენაესი საბჭოს დაშლა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა აირჩევა ახალი უზენაესი საბჭო.

## სრულიად საქართველოს საზოგადოება ქართველ შევარდენთა ლეგიონის სამხედრო საბჭოს განცხადება

ვითვალისწინებთ რა საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის კრიზისულ მდგომარეობას, რომლის შედეგადაც საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე არნახული ემოციები მეფობენ — ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით განვაცხადოთ შემდეგი:

თბილისში, ამა წლის 2 სექტემბერს მომხდარი ტრაგიკული ინციდენტის შემდეგ, მთელი რესპუბლიკა მოიცვა ურთიერთდაპირისპირებების მძლავრმა ტალღებმა.

ბოლო დროს კი, როდესაც ვნებათაღელვამ თავის ზენიტს მიაღწია, ზოგიერთებმა საქვეყნოდ იარაღით მუქარაც კი იკადრეს, რაც ძმათა სისხლის ღვრით, ანუ სამოქალაქო ომით გვემუქრება!

ქართველ შევარდენთა ლეგიონი, რომელიც 9 აპრილსა და 15–17 ივლისს დაღვრილი უცოდველი სისხლით შედუღაბებული ქართველთა საძმოა, მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს — ნებისმიერი, ვინც პირველი დააწვება ქართველი ხალხისაკენ მიმართული იარაღის სასხლეტს, ჩვენს მიერ გამოცხადებული იქნება — როგორც ჩვენი საძმოს მოსისხლე მტერი!

ჩვენ გვინდა გავაფრთხილოთ ყველა უგუნური, რომ ახსოვდეს ეს!

ხოლო მათ, ვინც დღემდე ვერ შეიგნო თუ სად შეიძლება იარაღით დგომა და მისი სასიკეთოდ გამოყენება, ჩვენ მოგვაკითხონ, ჩვენ დაგვიდგნენ გვერდში და თავიანთი ვაჟკაცობა იქ დაუმტკიცონ ქართველ ერს, სადაც ასე უჭირს დღეს მას!

ქ. თბილისი,
16 სექტემბერი.

## ქართველ შეფიცულთა კავშირის მიმართვა ქართველი ერისადმი

საქართველოში დღეს ძალიან რთული პოლიტიკური სიტუაციაა შექმნილი, დაძაბულობა დაპირისპირებულ მხარეებს შორის სულ უფრო და უფრო მატულობს, საქართველო სამოქალაქო ომის მიჯნაზე იმყოფება. ღმერთმა დაიფაროს, და თუ ძმათა შორის სისხლისღვრა ატყდა, გამარჯვებული არც ერთი მხარე არ დარჩება, ამით საქართველო დამარცხდება. ისტორია ყველას პასუხს მოსთხოვს და ერი შეაჩვენებს ყველას, ვისაც ძმათა სისხლში ექნება ხელი გასვრილი.

ქართველ შეფიცულთა კავშირი მოუწოდებს ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს დიალოგისაკენ და სადავო საკითხების გადაჭრას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. საჭიროა გარკვეული დათმობები, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. სიჯიუტე კარგს არაფერს მოუტანს საქართველოს და ქართველ ერს. ნუ დაგვავიწყდება თუ რამდენი ნაღმია ჩადებული ჩვენს მიწაში, რომელიც დღეს თუ ხვალ შეიძლება აფეთქდეს. ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ ქართველებს შორის ყოველგვარი დაპირისპირებისა და შუღლისა.

**ქართველ შეფიცულთა კავშირი.**
**ქ. თელავი, 1991 წლის 16 სექტემბერი.**
**(იბეჭდება შემოკლებით).**

## საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტური კავშირის საინიციატივო ჯგუფის განცხადება

ამა წლის 14 სექტემბერს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნებული იყო მიმართვა სრულიად საქართველოს სტუდენტებისადმი, რომლითაც მოგვიწოდებდნენ მხარი დაგვეჭირა მათი მოთხოვნებისათვის, რომელიც საქართველოს კანონიერი მთავრობის გადადგომით მთავრდებოდა. ასეთ დაძაბულ სიტუაციაში აფხაზეთის ქართველ სტუდენტობას არ მიგვაჩნია მართებულად ზემოთხსენებული მიმართვის ხელმომწერი სტუდენტურ ორგანიზაციათა პოზიცია. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას.

**სსმი-ს სტუდენტური კავშირის საინიციატივო ჯგუფი.**


რესპუბლიკის მოედანზე.


ყოფილი „იმელის“ შენობასთან.


რუსთაველის პროსპექტზე.

# ქართველები... ბარიკადების სხვადასხვა მხარეს

## თბილისი, 16—20 სექტემბერი

ალბათ ძნელად წარმოიდგენდა 9 აპრილგამოვლილი და თითქოს სამუდამოდ ერთ მუშტად შეკრული ქართველობა, რომ დღეს ორად გახლეჩილი და ორ მტრულ ბანაკად გაყოფილი აღმოჩნდებოდა. რომ ქართველი ქართველს, მამა შვილს, და ძმას, მეგობარი მეგობარს დაუპირისპირდებოდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უკვე მოხდა და აგერ მეორე კვირა იწურება, რაც თბილისი და უკვე ლამის მთელი საქართველოც უკიდურესად დაჭიმულ, დღეს არა ხვალ გასაწყვეტად გამზადებულ ნერვს მოგაგონებთ. ბარიკადები თბილისის ქუჩებში, ბარიკადები ჩვენს შორის, ბარიკადები ჩვენს სულებში, მიტინგები, მსვლელობები...

ჩვენში ცუდი და ამიტომაც ვდგავართ მტკიცედ კარგის— ზნეობისა და სამართლიანობის მხარეზე.

ვიცით, რომ ჩვენი ადგილი პირველ რიგში სასწავლო აუდიტორიებშია, ისიც ვიცით, რომ ნორმალურ ქვეყნებში განათლების ზოგჯერ საუკუნოვან მტკიცედ განსაზღვრულ პრინციპებს თვით ქვეყნის შიგნით დაწყებული ომიც კი ვერ არღვევს, მაგრამ ეს ნორმალურ ქვეყნებში, ჩვენთან კი... ყველაფერთან ერთად სტუდენტობის სინდისსაც ლაფში სვრიან. დავით გარეჯის გუშინდელ დამცველებს, ტრანსკავკასიის მაგისტრალის წინააღმდეგ მებრძოლებს დღეს კრიმინალებსა და ბანდიტებს გვეძახიან.

[...]

დამოკიდებულია მის გონიერებაზე. თუ დააკანონა, მაშინ შევწყვეტთ აქციასა და შევუდგებით საქმიანობას პრესის კანონის შესაბამისად.

— თუ არ დააკანონა?

— მაშინ აქცია გაგრძელდება... ტელევიზიის წინ სისტემატურად

[...]

იმ დღეებში მოყვარულის კამერის ამარა დარჩენილმა პროგრამა „მოამბემ“, მაგრამ, სამწუხაროდ, ცალმხრივად გააშუქა მომხდარი. კერძოდ, მხოლოდ ის ადამიანები ალაპარაკა, ვინც ამტკიცებდა, რომ ირაკლი წერეთელმა და მისი პარტიის წევრებმა გვცემეს.



რომან ქარქუსაშვილის ნახატი.

[...]

ამავე მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, რომ დაიწყო უვადო შიმშილობა პოლიტპატიმრების განთავისუფლების, საერთაშორისო სამართლით აღიარებული დემოკრატიული ნორმების დაცვის, საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს განთავისუფლების საკითხის დასმის მოთხოვნებით.

ირაკლი ბათიაშვილმა თავის გამოსვლაში ერთსაც გაუსვა ხაზი: თუ ახლა ჩავთვლით, რომ ჩვენი მთავარი საქმე ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლაა და არა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, უთუოდ ჩიხში მოვექცევითო...

### ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინასთან

აქაც კვლავ ბარიკადებია აღმართული. შეკრებილთ კვლავ

[...]

ყველა ქართველი ბერია და ორჯონიკიძეა?

—ეგ მე არ ვიცი, მაგრამ როცა საქართველოს ერთი ნაბიჯი უკლია დამოუკიდებლობამდე, პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილი ნებისმიერი აქცია ნამდვილად ორჯონიკიძეობაა. ისე კი, შერიგებასაც რა უნდა, მოსისხლე მტრებიც რიგდებიან. ჩვენ კი პოლიტიკური ამბიციებისათვის ვხოცავთ ერთმანეთს...

სხვა კარავში ბოლო ხანებამდე მესტიიდან ჩამოსული 10 ადამიანი, მათ შორის 3 ...

ვიტყვეთ, რომ ისინი საარბრიუკენიდან ჩამოვიდნენ თბილისში კერძო მოწვევით, რათა საკუთარი თვალით ენახათ ყველაფერი. ჩვენს შეკითხვაზე თუ რამდენად დემოკრატიულად მიაჩნიათ ის, რაც დღეს რუსთაველის პროსპექტზე ხდება, მოგვიგეს — ეს ყველაფერი კი არის დემოკრატიული, მაგრამ ერთი რამ ვერაფრით გაგვიგია, მარტო ერთ პროსპექტზე რომ ამდენი კაცი დადგება უქმად მთელი დღის მანძილზე, საქმეს ვინღა აკეთებს, როდის რას ქმნითო...


ტელერადიოდეპარტამენტის შენობასთან.


ტელერადიოდეპარტამენტის შენობასთან.


მთავრობის სახლთან.

ზურაბ კავთარაძის ფოტოები.

[...]



შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა, ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა — მარიამისა

# ღვთისმშობლობა

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა.

აწინდელი დღესასწაული, ძმანო, არის დასაბამი ჩვენთვის ყოველთა დღესასწაულთა. იგი სჯულის საზღვარია, პირველ გარდაქმნათ ემსახურება და შესასვლელ კარს წარმოადგენს მადლისა და ჭეშმარიტებისაკენ, — ასე განმარტავს ღვთისმშობლის შობის დღესასწაულს მღვდელთმთავარი ანდრია—

ესოდენ ყოვლად დიდებულ მადლს, ეგზომ თანამსგავსს ღვთაებრივი კანონებისა თუკი ღმერთი ადამიანურ ხორცში არ მოგვევლინებოდა, თუკი ბუნების კანონებს არ დაექვემდებარებოდა იგი და თუკი ჩვენს გვერდით არ ენებებოდა ცხოვრება იმ სახით, რომელიც მხოლოდ თვით უწყოდა. ხოლო ყოველივე ეს კი ვით უნდა აღსრულებულიყო, თუკი მანამდე

[...]

ვისუფალი, სრულიად უვნებო ცხოვრება მოგმადლა. მაგრამ სხვაგვარად ვით უნდა შეგვეტყო და ვით უნდა ვზიარებოდით ჩვენ

[...] დაგების მიხედვით მოამზადა წმიდა პანტელეიმონ მკურნალის წინამძღვარმა, მღვდელმა ზაქარიამ (ძინძიბაძემ).


## გსურთ სწრაფად ალაპარაკდეთ ინგლისურად?

ამის საშუალებას გაძლევთ კოოპერატიული ფირმა „აეკოსთან“ არსებული ინგლისურის სწრაფშემსწავლელი კომპიუტერული კურსები, ენის სწავლება დაფუძნებულია კემბრიჯის უნივერსიტეტში შემუშავებულ მეთოდიკაზე, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით გამოიყენება ტელეკომპანია ბი-ბი-სის მიერ. კურსები აღჭურვილია უახლესი ვიდეო, აუდიო და კომპიუტერული ტექნიკით.

მსმენელთა გასაუბრება და საბუთების მიღება წარმოებს 23 სექტემბრიდან. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს და გასტანს 4-თვენახევარს. სწავლების ღირებულებაა 1280 მანეთი.

**ჩვენი მისამართია:** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83, ვაკის რ-ნის 1-ლი სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი, მოზრდილთა განყოფილება, მე-2 სართული, დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ტელეფონებით: 36-68-94, 37-08-69.

# ვინ გასცა სანქცია?

როგორც იცით, რამდენიმე დღის წინათ თბილისის აეროპორტში დააკავეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია და ამავე პარტიის 2 წევრი (ეს უკანასკნელნი უკვე განთავისუფლდნენ). დავინტერესდით, ვინ გასცა სანქცია მათი დაკავების შესახებ.

ჩვენი კორესპონდენტი რეალური ვითარების გასარკვევად ტელეფონით დაუკავშირდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს.

**მიხეილ ქურდაძე, თბილისის პროკურორი:** სანქცია მე არ გამიცია. ამ საქმის ძიება ქალაქის პროკურატურაში არ წარმოებს (საუბარი შედგა 18 სექტემბერს, დილით).

**ვახტანგ რაზმაძე, რესპუბლიკის პროკურორი:** ჩემთვის ამის თაობაზე არაფერია ცნობილი, ამ საქმეს თბილისის მთაწმინდის რაიონის პროკურატურა იძიებს (საუბარი შედგა 18 სექტემბერს, დილით).

**ელგუჯა მიქაშავიძე, თბილისის მთაწმინდის რაიონის პროკურორის მოადგილე:**

ჩვენი რაიონის პროკურატურაში მესამე დღეა აღძრულია საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 206[3] მუხლით მომიტინგეთა მიერ გზების გადაკეტვის ფაქტზე. რაც შეეხება გიორგი ჭანტურიას, მის დასაკავებლად სანქცია ჩვენ არ გაგვიცია და არც სისხლის სამართლის საქმე გვაქვს მის მიმართ აღძრული (ვესაუბრეთ 18 სექტემბერს, საღამოს 7 საათისთვის).

**ალეკო მიქაბერიძე, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი:**

ვინაიდან გიორგი ჭანტურიას მიმართ თბილისის მთაწმინდის რაიონის პროკურატურაში აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 206[3] მუხლით, იგი დაკავებულ იქნა წინასწარი დაკავების ოქმით, როგორც ეჭვმიტანილი, შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ. მისი პატიმრობაში აყვანის შესახებ სანქცია გაცემულია ჯერ კიდევ გუშინ (18 სექტემბერს, შუადღისას) მთაწმინდის რაიონის პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ. ამჟამად საქმე ძიებაშია (ვესაუბრეთ 19 სექტემბერს).

როგორც იცით, გიორგი ჭანტურიას დასაკავებლად საჭირო გახდა უკვე აფრენილი თვითმფრინავის კვლავ თბილისის აეროპორტისკენ მობრუნება და დაშვება. ხომ არ იყო ეს გარკვეულ რისკთან დაკავშირებული სხვა მგზავრებისათვის? ამ კითხვით თავდაპირველად **სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის თანაშემწეს სოსო ნარმანიას** მივმართეთ:

— ეს არავითარ რისკთან არ ყოფილა დაკავშირებული. ამჟამად მიმდინარეობს სამსახურებრივი ძიება, თუ ვინ გასცა ბრძანება თვითმფრინავის დაშვების შესახებ. ასეთი ბრძანების გაცემა სამმართველოს უფროსის კომპეტენციაა.

**სამმართველოს უფროსი დემურ ძნელაძე:**

— დიახ, თვითმფრინავის დაშვებისას მგზავრებს ხიფათი არ ემუქრებოდათ. საერთოდ, სიტუაციიდან გამომდინარე, ცენტრალურ სადისპეტჩეროს შეუძლია ასეთი ბრძანება გასცეს. სადისპეტჩეროში დარეკეს აეროპორტის მილიციის სამორიგეოდან, რომ საჭიროა თვითმფრინავის უკან დაბრუნება. ამას ითხოვდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც მინისტრის მითითებით მოქმედებდნენ. ამჟამად მიმდინარეობს სამსახურეობრივი ძიება, თუ კონკრეტულად როგორ წარიმართა ეს ყველაფერი.

**ამონაწერი ვახტანგ ტალახაძის პუბლიკაციიდან „ოპერაცია თბილისის აეროპორტში“:**

„რამდენიმე წუთის შემდეგ თვითმფრინავმა კურსი შეიცვალა და გეზი უკან, თბილისისაკენ აიღო. მფრინავების კაბინის კარი დახურული იყო. ბოლოს, როდესაც მოვახერხე და ვკითხე, თუ რაში იყო საქმე, მითხრეს, თბილისიდან მიღებულია ბრძანება დაბრუნების შესახებ, მიზეზი კი თავადაც არ ვიცითო. შეშინებულნი იყვნენ. მე ბოლომდე ჩავეძიე და გავიგე, რომ თურმე იმ მომენტში აეროპორტში დაჯდომა უზარმაზარ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან თვითმფრინავის წონა 100 ტონამდეა, აქედან 20-30 ტონა საწვავის ხარჯზე მოდის და ამ მარაგის გამოლევის გარეშე სარბენ ბილიკთან შეხებას შეეძლო აფეთქება გამოეწვია. მგზავრებს გამოუცხადეს, თბილისში ტექნიკური მიზეზების გამო ვბრუნდებითო. ამან, ბუნებრივია, დიდი აღელვება გამოიწვია: მე, გია ჭანტურიასა და ირინა სარიშვილთან მოლაპარაკების შემდეგ, ყველას ავუხსენი, რომ ეს ყველაფერი ჩვენს დასაჭერად იყო და ტექნიკური გაუმართაობის შიში არ უნდა ჰქონოდათ.

მხოლოდ აეროდრომზე დაჯდომის შემდეგ გაუმხილეს მგზავრებს, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ისინი აღშფოთდნენ და სამართლიანადაც — ფაქტობრივად სამი ადამიანის დაკავების გულისათვის 150-მდე კაცის სიცოცხლე იქნა საფრთხეში ჩაგდებული“ („საქართველო“, 1991 წ. 20 სექტემბერი).

როგორც ხედავთ, რესპონდენტების ნათქვამი ზოგჯერ კიდეც ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

## სად არის ე. შევარდნაძე?

ამ დღეებში დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი ედუარდ შევარდნაძის გარშემო. ჩვენი მკითხველები გვთხოვენ, მოვაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს ხმები მისი დაპატიმრების შესახებ. ჩვენ ერთი რამ შეგვიძლია გითხრათ, რომ გუშინწინ ე. შევარდნაძე გამოვიდა ყოველგვარი ხელბორკილის გარეშე ცენტრალური ტელევიზიით და ინტერვიუში კითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, განაცხადა, რომ იქ მიმდინარეობს დემოკრატიზაციის პროცესები და მასში მონაწილეობენ კულტურის ცნობილი მოღვაწენი. მან წარმატება უსურვა მათ და რესპუბლიკის ხელისუფლებას.

## ინფორმაცია

როგორც ჩვენმა კორესპონდენტმა ლია ჯახველაძემ გვაცნობა, 18 სექტემბერს ქარელში შიმშილობა დაიწყო რაიონის სახალხო ფრონტის რეგიონალური ორგანიზაციის წევრმა გია თინიკაშვილმა, გუშინ მას უნდა შეერთებოდა რაიონის სხვა საზოგადოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციათა რამდენიმე წარმომადგენელი. მოშიმშილეთა მოთხოვნები ასეთია: უარი ავტორიტარიზმს და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა სრული თავისუფლება.

**საკუთარი ინფორმაცია**


შეაჩერეთ არჩევანი აქციებზე!

თბილისის უნივერსალური ბირჟა გირჩევთ

სოხუმის ბირჟა კავკასიის შავიზღვისპირეთის პირველი ბირჟაა, ხელმოწერილია დამფუძნებელი ხელშეკრულება და დაიწყო ხელმოწერა სოხუმის ბირჟის აქციებზე.

ბირჟის დამფუძნებლები არიან:

რეგიონის წამყვანი საქონელმწარმოებლები, კომერციული სტრუქტურები და თბილისის უნივერსალური ბირჟა, რომელთა გამოცდილება და წარმატებები სოხუმის ბირჟის წინსვლის გარანტიაა!

სააქციონერო საზოგადოება სოხუმის ბირჟის საწესდებო ფონდია 5 მილიონი მან. აქციის ნომინალური ღირებულება 100 000 მან.

პირველი შესატანი 30 000 მან. ოდენობით უნდა გადაირიცხოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე 000609806, მფო 523101, ქ. სოხუმის მრეწვმშენბანკში არა უგვიანეს ა. წ. 1 ოქტომბრისა.

აქციის ღირებულების დანარჩენი ნაწილის გადახდა იწარმოებს ბირჟის სახელმწიფო რეგისტრაციიდან ერთი წლის განმავლობაში.

აქციებზე ხელმოწერა და ინფორმაციის მიღება შეიძლება მისამართზე: 384900 ქ. სოხუმი, პუშკინის ქ. 21, ტელ. 2-33-40, ან თბილისში, სოხუმის ბირჟის წარმომადგენლობაში: 380019, ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 118, საქართველოს სამეცნიერო და კომერციული გამოფენების ეროვნული ცენტრი, პავილიონი № 5, თბილისის უნივერსალური ბირჟა, ტელ.: 35-14-69, 35-44-21.

რეგიონის ბუნებრივი სიმდიდრე, გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა და მდიდარი სავაჭრო ტრადიციები სოხუმის ბირჟის წარმატების საწინდარია. დაიცავით ინფლაციისაგან თქვენი კაპიტალი — შეიძინეთ სოხუმის ბირჟის აქციები!


## სარედაქციო განცხადება

ამ დღეებში დააპატიმრეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გ. ჭანტურია და პარტიის რამდენიმე წევრი, მოგვიანებით — ტელეჟურნალისტი გ. ხაინდრავა. ამ დაპატიმრებებს აშკარად პოლიტიკური სუნი უდის. ჩვენს გაზეთს არასოდეს ჰქონია ახლო ურთიერთობა ამ პირებთან, კონფლიქტიც კი ჰქონდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რამდენიმე წარმომადგენელთან, მაგრამ რედაქციას დაუშვებლად მიაჩნია მსგავსი ძალმომრეობა და გამოთქვამს პროტესტს მომხდარის გამო.

## ყურადღება!

1988 წლის 21-22 სექტემბერს თბილისში მოეწყო ხალხმრავალი მანიფესტაციები დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადასარჩენად.

ამა წლის 21 სექტემბერს დღის პირველ საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტი ახალგაზრდობის თაოსნობით ეწყობა ამ თარიღისადმი მიძღვნილი მიტინგი.

ვიწვევთ ყველას, ვინც 3 წლის წინათ მონაწილეობდა აღნიშნულ აქციაში.

**თსუ ახალგაზრდული პრესკლუბი.**

## საქართველოს ეროვნული კონგრესის საგანგებო სესია

1991 წლის 24 სექტემბერს, სამშაბათს, 11 საათზე, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის შტაბ-ბინის შენობაში (რუსთაველის 29) ჩატარდება საქართველოს ეროვნული კონგრესის საგანგებო სესია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ყველა პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობას, ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

რეგისტრაცია დაიწყება 10 საათიდან.

**საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმი**

# ხუმრობით და სერიოზულად

ახალგაზრდული სტუდია

## „შენ ხომ არ გაგიჟდი, ქართველო კაცო?!“

**ს. სერებრიაკოვი**

**ვ კატორი რაზ უჩატ ნას უმუ რაზუმუ? (მერამდენედ გვარიგებს ჭკუას რუსი?)**

**ინერციაა უფროსი ძმობის — ალბათ. ეგრე იქნება, აბა, რა. ახლა, როცა გაგვიჭირდა, ისევ მოსკოვში გავიქეცით მიტინგების ჩასატარებლად.**

**აღარ გვესმის, რა გაუთავებელი ლოდინია „წყალობისა?“.**

**საინტერესოა, ქართველები რას ფიქრობენ საკუთარ „სიგიჟეზე“...**

**დუბლი 1.**

**საბურთალოზე:**

— ქართველი ხალხი გიჟს ჰგავს, მაგრამ არ გაგიჟდა. უფრო სწორად, ქართველები საგიჟეთის სანიტრებად იქცნენ — არ იციან, ვინ გააკავონ.

— ხალხი არ გაგიჟდა მგონი, ჭკუაზე მოდის...

— არავინაც არ გაგიჟდა. ვის გაუგია, ქართველი სულელი იყოს?

— ქართველი კაცი ყოველთვის „გიჟი“ იყო. ეს არის მისი არაჩვეულებრივი თვისება. თუ იმ სიშლეგეს და სიშმაგეს გულისხმობთ, რომელიც გალაკტიონს ჰქონდა, მე არ გამაჩნია ამგვარი რამ და უბედური ვარ. თუ დემოკრატიის და თავისუფლების ასეთ გაშმაგებულ სურვილს სიგიჟე ჰქვია, მე თანახმა ვარ მიწოდონ გიჟი. ხომ გქვიგიათ, „გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მარაგი...“

**რუსთაველის გამზირის დასაწყისში:**

— რატომ გაგიჟდა?! გაგიჟებულები რუსები არიან და საერთოდ, საჭირო არ არის ის, რასაც თქვენ წერთ. შეიძლება ჩვენი ნათქვამი ისევ ჩვენს საწინააღმდეგოდ გამოიყენოთ. ჩვენ არავის ვაპატიებთ პრეზიდენტის შეურაცხყოფას, შიშველი ხელებით დავიცავთ, არავის დავაჩაგვრინებთ!

— მე თელავის საკრებულოს წევრი თამარ ღვინიაშვილი ვარ, 9 აპრილის ქუჩაზე ვცხოვრობ, ვისაც უნდა ჩამოვიდეს, ყველას საკადრის პასუხს გავცემ. „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“!!!

— ბრალი იმათ, ვინც ჩვენთან ერთად არ არის. ამ პოზიციას არ დავთმობთ. თვითონ ჩაიქოლებიან ისინი, ვინც პრეზიდენტს ემუქრება.

— ერთი სახრე უნდათ მაგათ, რომ მოსავლის ასაღებად გავრეკოთ.

**ცოტა ზემოთ:**

— ქართველი ხალხი ნამდვილად გაგიჟდა, ოღონდ — ნახევრად.

— ნამდვილად გაგიჟდნენ. რატომ?! ხომ გახსოვთ: „არა ჰქმნა თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი... არა თაყვანი სცე მათ, არცა მსახურებდე მათ...“

— გაგიჟდა და თანაც ისე, რომ შეიძლება არსებობის ღირსიც აღარა ვართ...

**ვერისა და ვაკის საზღვარზე:**

— არ გაგიჟდა. ცოტა ვერკვევი ისტორიაში და ვფიქრობ, რომ ახლა არაჩვეულებრივი და უცხო არაფერი ხდება.

— რა ვიცი, მე თავს ნორმალურად ვთვლი, თქვენ? ესე იგი, ყველა არ გავგიჟებულვართ.

— არ უნდა იყოს ცუდი სიგიჟე, თუ გავიხსენებთ, რომ ყველა დიდი ადამიანი ცოტას „ურევდა“.

**დუბლი 2.**

**ხომ გახსოვთ, „დათა თუთაშხია“ — ადამიანს საქციელს თუ უწუნებ, იქვე ისიც უნდა უთხრა, როგორი საქციელი იქნება სწორი და მართებულიო. ძნელია, ალბათ, პრეზიდენტობა, განსაკუთრებით საქართველოში და განსაკუთრებით დღეს, მაგრამ საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა თითოეული ჩვენგანი პრეზიდენტის ადგილას.**

— დღეს რომ პრეზიდენტი ვიყო, უცილებლად გადავდგებოდი.

— პირველ რიგში, გავათავისუფლებდი ჩემს პირად დაცვას. ხალხის არჩეულს რად უნდა დაცვა?!

— გამოვაცხადებდი საყოველთაო სიყვარულს.

— მე პრეზიდენტი ვერ ვიქნები და არც ვიქნები, მაგრამ რომ ვიყო, მივიდოდი ხალხთან და დაველაპარაკებოდი.

— ჯერ სიმართლეს ვიტყოდი და მერე იქნებ აღარც დამჭირვებოდა გადადგომა.

— პრეზიდენტი დღეს, ამ წუთში რომ გადადგეს, ისევ ეროვნულ გმირად დარჩება. ხვალ შეიძლება გვიანი იყოს.

— ხალხი ჩვენა ვართ და ჩვენ ავირჩიეთ ეს პრეზიდენტი. არ უნდა გადადგეს!

**მისმინეთ!**

**ქმრებო, ძმებო, მამებო, მამაკაცებო! ერთ მშვენიერ დღეს ყველა ერთად შევიკრიბოთ, წავიდეთ მთავრობის სახლთან, დავუჩოქოთ მანდილოსნებს და ვთხოვოთ, რომ დაუთმონ პოლიტიკა მამაკაცებს, რომ ჩვენ ისინი ძალიან გვიყვარს, მაგრამ დაგვანებონ, ბატონო თავი. მიხედონ ოჯახებს, გაიხსენონ, რომ ქალები არიან.**

**თქვენი გიორგი ხარაბაძე**

**დუბლი 3.**

**ისტორია ზუსტია და კანონზომიერი. მხოლოდ ისტორია არქმევს ყველაფერს თავის სახელს. იყო ფეოდალიზმი და ასეც ერქვა, სოციალიზმიც იყო და ასეც ვიცოდით. ახლა რა ხდება? რა წყობაში გვიხდება ცხოვრება დღეს? რა დავარქვათ?**

—სოციალისტური წყობაა, რა შეიცვალა?

— მატრიარქატია. ისე, ვერ გავიგე, რა წყობაა.

— ბჯაფსანდალია, წყობა კი არა.

●

**კომენტარი მრავალნაირი შეიძლება. იქნებ ნახევრადსერიოზულ ლაპარაკს სრული სიჩუმე სჯობდეს და საერთოდ, სატირალი რომ არ იყოს, სასაცილო იქნებოდა ეს ჩვენი რეპორტაჟიც.**

**ჩვენც გვაპატიეთ დღევანდელი „სიგიჟე“.**

**სტუდიაში მუშაობდნენ:**
**მაია ჟალაგანიძე,**
**ნინო ნარჩემაშვილი.**

ახალგაზრდული სტუდია

# ორიოდე სიტყვა რუბრიკის • პრემიერის წინ

ჩვენს მკითხველებს, ალბათ ემახსოვრებათ „ახალგაზრდა ივერიელის" 3 აგვისტოსა და 3 სექტემბრის ნომრებში გამოქვეყნებული წერილები: „ყურადღება! ველოდოთ მიწისძვრას?! და „მოხდა თუ არა ნავარაუდევი მიწისძვრა?"

გაგახსენებთ იმასაც, რომ ანალიზისა და პროგნოზის არატრადიციული მეთოდების მკვლევარმა, ბატონმა გ. გ-მ (რედაქცია გასაგები მიზეზების გამო, გარკვეულ ხანს მხოლოდ ინიციალებით მოიხსენიებს მას) იწინასწარმეტყველა 3,5-4 ბალიანი სიძლიერის მიწისძვრები საქართველოში.

ამ პუბლიკაციებს მართლაც რომ დიდი გამოხმაურება მოჰყვა, იყო უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა. იმთავითვე უარყოფითი ხასიათის წერილები, გადაცემები, სატელეფონო ზარები და ასე შემდეგ.

ამ „ექსპერიმენტში" ოფიციალური სამსახურებიც ჩაერთნენ. საქმე ის არის, რომ ბატონ გ. გ.-ს წინასწარმეტყველების უმეტესი ნაწილის გამართლების შემდეგ რედაქციამ გადაწყვიტა შემოეღო მუდმივი რუბრიკა, რომელსაც თავად ბატონი გ. გ. გაუძღვებოდა. ჩვენს სურვილს ბატონი გ. გ. დადებითად გამოეხმაურა და შევთანხმდით, რომ მისეული ყოველკვირეული პროგნოზების ბეჭდვას დავიწყებდით 7 სექტემბრიდან. ყველაფერი აეწყო, ბატონმა გ. გ. დროულად მოგვაწოდა 8-15 სექტემბრისათვის თავისი პროგნოზების ხელნაწერი. შეირჩა რუბრიკაც. მოკლედ, წინ არაფერი უნდა დაგვდგომოდა მაგრამ... ხელი შეგვიშალა ჩვენთვის იმ ავადმოსაგონარმა დადგენილებამ ოთხი გაზეთის გაუქმების თაობაზე.

რედაქციაში დაგვრჩა ბატონ გ. გ-ს პროგნოზი, (სხვათა შორის, იგი გვამშვიდებდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა), და როცა მისი პირველი პროგნოზის ვადამ მიიწურა, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა შეგვეჯამებინა შედეგები. უნდა ითქვას, შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავი იყო და ამითაც უფრო დამაჯერებელნი.

დღეიდან ვიწყებთ ახალ რუბრიკას. ეს იქნება მოკლე ყოველკვირეული პროგნოზები. იგი ყოველ შაბათს გამოქვეყნდება ხოლმე საპროგნოზო კვირის მიწურულს, ყოველ სამშაბათს კი შევაჯამებთ შედეგებს.

ჯერჯერობით ეს იყოს, დანარჩენ ვრცელ, დაწვრილებით ინფორმაციას, მათ შორის თავად ბატონი გ. გ-ს საქმიანობასა და მოღვაწეობაზე, მოკაწვდით მოგვიანებით, მაშინ, როცა თქვენც თავად დარწმუნდებით მისი პროგნოზების სიმართლეში, მის ფენომენში.

ახლა კი შემოგთავაზებთ თავად ბატონი გ. გ-ს თეორიულ წერილს სადაც ის ასაბუთებს საქართველოში ასტროეკოლოგიური კვლევის ცენტრის შექმნის აუცილებლობას. აქვე ვიწყებთ მისი პირველი პროგნოზის ბეჭდვას.

## ცა და ქვეყანა

# ჩვენი ასტრო-ეკოლოგიური პროგნოზი

## ფურცელი № 1

**ამრიგად,** მომავალი კვირის (21–28 სექტემბერი) თითოეულ დღეს ანუ დროის მომენტს შეესაბამება შემდეგი სოციალურ-ისტორიულ მოვლენათა სივრცე, რომელიც თავის მხრივ განისაზღვრება სამყაროს შემდეგი პოლუსების ურთიერთმოქმედებით (მათი მატერიალური გამოვლენა მზით, მერკურით, მარსით, სატურნით და სხვა პლანეტებით გამოისახება). პოლუსი „სახელმწიფო" (მისი სტატუსი პოპულარობა, სიძლიერე) ისევ განიცდის საფრთხეს შემდეგი პოლუსების კომბინაციებისაგან: „საზოგადოებრიობა" პლუს „დამანგრეველი ძალა" ეს პოლიტიკური კრიზისი (სხვადასხვა სიმძაფრით) გაგრძელდება დეკემბრის შუა რიცხვებამდე. მისი გამომწვევი მიზეზებია პოლუს „საზოგადოებრიობის" აგრესიულობასთან ერთად მეზობელი ქვეყნის მონაწილეობა: ჩართულია პოლუსი „პარტნიორი", რაც ემთხვევა მთავრობის ვერსიას კრიზისის გარე მიზეზების შესახებ. 21-23 რიცხვებში გამწვავდება მთავრობისადმი საფრთხე. 21-22-ში მას შეიძლება თან დაემთხვას მცირე ტიპის დარღვევები, რომელთაც (იხ. „ახალგაზრდა ივერიელი", 3-IX-1991) გამოიწვევს 3-4-ბალიანი მიწისძვრის ბიძგი. თუ მთავრობამ თავი დააღწია 22-23-ში კრიტიკულ სიტუაციას (ეს დღეები გადამწყვეტი იქნება), კვირის ბოლოსთვის ის გააძლიერებს თავის ძალაუფლე-

საქართველოს რესპუბლიკის პოლაროგრამა
თბილისი. 1991, 9 აპრილი
42°




ბას (28–30 სექტემბერი) დადგენილებით და გადაწყვეტილებებით (ალბათ, დათმობების გზით სფეროში — „საზოგადოებრიობა"). კვირის ბოლოსათვის გაიზრდება დიპლომატიურ კავშირთა ინტენსიურობა (დელეგაციები, უცხოელი სტუმრები, შეიძლება, მოხდეს საქართველოს ცნობა, რომელიმე მეზობელ ქვეყნიდან) გადადებული სასწავლო წელი ამჯერად „დროულად" დაიწყება.

26-27 სექტემბრისთვის გზებსა და ტრანსპორტის სისტემაში გაიზრდება ავარიულობა (მცირე მასშტაბით), მას შეიძლება თან ახლდეს ამინდის მკვეთრი შეცვლა და თან წაუძღვეს მცირე სიმძლავრის მიწისძვრის ბიძგი. 21-22 სექტემბერს პოლუსი „თავისუფლება" პლუს „სწრაფვა" შეეხება პოლუსს „სახელმწიფო", გაგრძელდება მიტინგები, გამოსვლები, მოსალოდნელია მასობრივი ეგზალტაცია და ეიფორია. 21-23 სექტემბერს გაუარესდება ქალაქის მომარაგება სურსათით, (ან ენერგორესურსებით). მთლიანად მომავალი კვირა, მიუხედავად აღნიშნული კრიზისისა, ჩაივლის რაიმე მნიშვნელოვანი უარყოფითი ექსცესების გარეშე.

მოსახლეობას ვურჩევთ 21-23-ში თავი შეიკავონ სპირტიანი სასმელების მოხმარებს ინტენსიური მოთხოვნილებებისაგან (არ დაგავიწყდეთ, რომ ასეთი „ზევიდან" დაწერილი მოთხოვნილებები ყოველთვის გავლენას ახდენენ თქვენ ინდივიდუალურ კომფორტზე).

ქალებისათვის უფრო მისაღები იქნება თეთრი და მწვანე ფერების კონტრასტული დეტალების შემოტანა ტანსაცმელში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ტანის ინდივიდუალურ ჰიგიენას და სუნამოებს. ისინი დაგიცავენ მასის (რომელიც ასე მომრავლდა ქალაქის ქუჩებში) უარყოფითი ველის გავლენისაგან.

სოფლის მოსახლეობას ვურჩევთ კვირის დასაწყისში თავი შეიკავონ უსარგებლო ზედმეტი ხარჯებისა და ფინანსების რაიმე დაბანდებისაგან. ხოლო კვირის ბოლოსთვის გააძლიერონ ზამთრისთვის საჭირო სურსათ-სანოვაგის მომარაგება, მიმართონ პრეფექტურებს პირადი პრობლემების გადასაჭრელად და სხვა.

●

**მომავალი კვირის სულიერი კოსმიური სამართლიანობის აღდგენის სიტყვებია: კონფუცის ჰკითხეს ნამდვილი სახელმწიფო მართვის შესახებ. კონფუციმ უპასუხა: სახელმწიფოს მეთაური უნდა იყოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეშევრდომი — ქვეშევრდომი, მამა — მამა, შვილი — შვილი. და თუ ეს ასე არ იქნა, მაშინ ხორბლის მარცვალსაც ვერ მოვიპოვებთ.**

# საჭიროა თუ არა 3–4 ბალიანი მიწისძვრის ბიძგების პროგნოზი?

**გაზეთ** „ახალგაზრდა ივერიელის" 3 აგვისტოსა და 3 სექტემბრის ნომრებში გამოქვეყნებული იყო არატრადიციული მეთოდებით მიღებული მიწისძვრის ბიძგების შესაძლებელი პროგნოზის ზოგიერთი თეორიული და პრაქტიკული მოსაზრებანი.

კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მცირე ტიპის 3-4-ბალიანი მიწისძვრების თანხლებად უარყოფით სოციალურ, მეტეოროლოგიურ თუ სხვა მცირე მასშტაბის კატასტროფიული ხასიათის მოვლენებს. მიწისძვრების ინტერპრეტაციისას გამოყენებულ იქნა მათი გაგების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ე. წ. სოციალურ-პოლიტიკური მიდგომა, როცა გეოტექტონიკური შეშფოთებისას გაზრდილი ამპლიტუდა აიხსნება უარყოფითი სოციალურ-პოლიტიკური პროცესების თანხლებადი რეზონანსით.

სულ უფრო მეტი და მეტი პროფესიონალი სეისმოლოგის და ასტროფიზიკოსის ყურადღება მიწისძვრების მექანიზმის აღწერისას ციურ სხეულთა ცაზე ხილულ მოძრაობის და საზოგადოებაში მიმდინარე სხვა მოვლენების შეფარდებისკენ ინაცვლებს. მაგალითად, მოსკოვში არსებული საგანგებო სიტუაციათა პროგნოზისა და კომპენსაციის პრობლემური კომისია რეგულარულად აქვეყნებს პრესაში მიწისძვრებისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების მიმართება — კავშირის პროგნოზებს, ვარაუდსა და ანალიზს საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ. მათთვის, რატომღაც, მიწისძვრების პროგნოზი და მათი თანხლებადი პროცესების ერთობლივი განხილვა მეცნიერულ „ტაბუს", აკრძალვას არ ემორჩილება, ისევე, როგორც გამოჩენილი რუსი სეისმოლოგისათვის ე. ბოროდზიჩისთვის, რომელიც დარწმუნებულია მიწისძვრათა პროგნოზის შესაძლებლობაში და ისიც უახლოეს მომავალში.

საბედნიეროდ ასეთივე კონსტრუქციული პოზიცია უკავიათ სხვა ქართველ სეისმოლოგებსაც (იხ. „თბილისი", 2 სექტემბერი) ისინი თვლიან, რომ მიწისძვრების „წინასწარმეტყველება" თურმე შეიძლება და აკი ყოფილა კიდევაც ასეთი შედეგიანი მცდელობა და ვაი-ოპონენტების უკუქმედებანი რომ არა, იქნებ 29 აპრილის მიწისძვრას ცოტა სხვანაირად დავხვედროდით. რაც შეეხება მცირე ტიპის მიწისძვრების პროგნოზს, თანამედროვე მონაცემების თანახმად (იხ. „ზნანიე სილა", № 7, გვ. 37), ისინი შეიძლება იწვევდნენ ეკოლოგიურად მავნე ეფექტებს, ნიადაგის დამარილებას, სასუქთა ამორეცხვას, ხეობათა აქტიურ ზრდას, თვით ტყეთა და ტორფთა აალებას. და, რაც მთავარია, თურმე რკინიგზაზე ავარიების გამომწვევი მიზეზიც შეიძლება გახდნენ.

რუსი სეისმოლოგები ბოროდზიჩი და ბესპროზვანი თვლიან, რომ ამგვარი ავარიების პროგნოზი შესაძლებელია მცირე ტიპის მიწისძვრის პროგნოზისა და ტერიტორიის სეისმოსაშიშროების დადგენის საშუალებით. მაგალითად, მათ ამ ბიძგების და ავარიების ურთიერთკავშირის კონკრეტული მექანიზმიც მოჰყავთ. ზოგს მიაჩნია, რომ ასეთი პროგნოზი საჭირო არ არის. მაგრამ თუ მიწისძვრის ბიძგი ოდნავ ადრე ან გვიან მოხდა ნავარაუდევზე და მას მოჰყვა თანხლებადი კატასტროფა გორის რკინიგზაზე, მათი ლოგიკით თითქოს ამით არც არაფერი არ მომხდარა, არ გადატრიალებულა ვაგონები, სახელმწიფოს არ მიყენებია მატერიალური ზარალი... შეიძლება არც ღირდეს, რბილად რომ ვთქვათ, ასეთ საეჭვო პოზიციისათვის გამოკიდება, მით უმეტეს, რომ პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა სეისმოლოგებმა მგონი გამოიჩინეს გარკვეული ინტერესი ამგვარი არატრადიციული მეთოდებით მიღებული პროგნოზებისადმი.

ერთი რამ რომ არა, დღეს ჩვენ, ისე, როგორც არასოდეს, გვჭირდება ახალი მენტალიტეტის, ცნობიერების, მიდგომის მატარებელი მეცნიერული კადრები. არ დაგავიწყდეთ, რომ XXI მერწყულის — საუკუნის ზღურბლზე ვდგავართ. საუკუნისა, როცა ინგლისელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის უ. გოლდინგის აზრით, ადამიანის უპირველესი მოთხოვნილება სამყაროს ერთიანობის აღთქმის სურვილია, როცა „სიყვარულს, პოეზიას, მიწისძვრებს, ცისარტყელას, მზის ჩასვლებს, მკვლელობას და სხვა სამყაროს მოვლენებს ერთი ჰარმონია მართავს (ჯ. ლონდონი. „მარტინ იდენი").

„მზის დაბნელება, ვენერის გასვლა მზის დისკოს წინ, კომეტების გამოჩენა და გაქრობა, ყოველწლიური ვარსკვლავების წვიმა. ყველა ეს მოვლენები გვკარნახობს ჩვენ, რომ ბუნება, რომელსაც უყვარს პერიოდული გამეორებანი ხილულ ცაზე, იგივე ბუნებაა, რომელიც მიწის საქმეებს განაგებს" (ასე აღწერდა მარკ ტვენი სამყაროს ერთიანობას თავის „ადამის დღიურში").

მეცნიერებაც ლირიკოსების მსგავსად სულ უფრო და უფრო გადადის ბუნებრივი პროცესების გლობალური კავშირების მექანიზმების შესწავლა-გაცნობიერებიდან (ანთროპოეკოლოგია) ამ კავშირების გამოკვლევა-გაგებისკენ კოსმიურ, გალაქტიურ მასშტაბებში (კოსმიური ანთროპოეკოლოგია). პოლაროლოგია სწორედ ან კოსმიური ანთროპოეკოლოგიის ერთ-ერთი მიმართულებაა. მისი მიზანია, სხვადასხვა განცალკევებულ სფეროში მიღებულ პროგნოზებს ერთ დროულ ციკლში მოუყაროს თავი და დაადგინოს, თუ რა აქვს საერთო სეისმურ ღრუბლებს, რომელიც ზოგიერთ მიწისძვრებს ახლავს, ავარიებს და სახელმწიფო გადატრიალების უშედეგო მცდელობებს.

ჩვენი ცხოვრება ისე დაიძაბა და დაიმუხტა, რომ საგანგებო, გაუთვალისწინებელი შემთხვევა თითქმის ყოველ კვირას ხდება.. აი, მათი გამოვლენა, დადგენა, ანალიზსა და პროგნოზს ემსახურება ჯერჯერობით პირადი ინიციატივით მოქმედ მკვლევართა ერთი ჯგუფის მუშაობა, რომელთა მიზანია საგანგებო და გაუთვალისწინებელ შემთხვევათა ანალიზის და დაძლევის სამსახურის შექმნა, რომელიც მოემსახურება როგორც სახელმწიფო, ასევე სხვადასხვა უწყებებისა თუ ორგანიზაციების ინტერესებს, გააფრთხილებს მათ მოსალოდნელი საგანგებო შემთხვევების შესახებ, გააანალიზებს მიმდინარე პროცესების განვითარებას დროში და სხვა. ამ სამსახურის სტატუსის და კვლევის მეთოდების შესახებ სხვა დროს უფრო ვრცლად მოგითხრობთ.

გ. გ.


**საააქციო-უნივერსალური ბანკის „იბერიაბანკის" აქციებზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

სააქციო-უნივერსალური ბანკის „იბერიაბანკის" დამფუძნებლები იუწყებიან, რომ მიმდინარე წლის 23 სექტემბერს დილის 11 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში შედგება ბანკის დამფუძნებელი კონფერენცია.

ბანკის აქციებზე ხელისმომწერთა დასწრება კონფერენციაზე სავალდებულოა. რეგისტრაცია იწარმოებს სპორტის სასახლის ფოიეში 22 სექტემბერს, კვირას, დილის 12 საათიდან დღის 3 საათამდე და 23 სექტემბერს, ორშაბათს დილის 10-დან 11 საათამდე.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ ტელეფონებით: 98-50-70; 99-02-76.

**სააქციო უნივერსალური ბანკის „იბერიაბანკის" დამფუძნებლები.**

# ალორძინება – არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „სალბუნი“

**გიწვევთ სამკურნალოდ, გკვეროდეთ გამოჯანმრთელდებით.**

საქართველოს ხალხური მედიცინის ასოციაციასთან შემავალი სამკურნალო კაბინეტი „სალბუნი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს პაციენტებისადმი მკურნალობით. მირიანაშვილის მალამომ მრავალი დავრდომილი ავადმყოფი განკურნა, მისი მალამო გამოირჩევა მაღალი ეფექტურობით, რომელიც მზადდება ბალახებზე. თვით მირიანაშვილი მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: ტროფიულ წყლულს, დამწვრობას, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ეროზიას, მარტიტებს, ბუასილს, წითელ ქარს, გაიმორიტს, ქალურ დაავადებას, ჩირქოვან ჭრილობებს.

მალამო აჩერებს თმის ცვენას და ამოყავს კიდეც.

ბალახის წაყენით იკურნება ენურეზი, უნებლიე შარდვა ბავშვებში, იწმინდება მარილებისაგან ღვიძლი, ნაღველი, თირკმელები, საშარდე გზები, ნაწლავები. (თან იქონიეთ ჭურჭელი.)

მისამართი: ქ. თბილისი. ლავით აღმაშენებლის 95-ში: სპორტ-კომპლექსი „განთიადი“.

მიღება ყოველდღე 9 საათიდან 18 საათამდე. დასვენების დღე კვირა.

## განცხადება

მიმდინარეობს მიღება ქ. თბილისის გლდანის რაიონის № 12 სახლმართველობასთან არსებულ მსუბუქი ავტომანქანების მძღოლთა მოსამზადებელ კურსებზე (კურსდამთავრებულები მიიღებენ მძღოლის საერთაშორისო მოწმობას).

პირველ რიგში ჩაირიცხებიან და შემცირებულ გადასახადს გადაიხდიან ის პირები, რომლებმაც იციან ავტომანქანის პრაქტიკული მართვა.

საბუთების შემოტანა და განმარტებისათვის ტელეფონზე დარეკვა შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა, საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

**მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის მე-3 მიკრო რაიონი, კორპუსი 74-ა.**

**ტელეფონი: 68-39-30.**

## უცხო ენათა შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ:

კოოპერატივი „შუამავალი 88“

გთავაზობთ სწრაფშემსწავლელ კურსებს ფსიქოლოგთა დახმარებით.

ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, ებრაული ჯგუფების დაკომპლექტება მთავრდება 30 სექტემბერს. სწავლას შეუდგებიან 1 ოქტომბრიდან.

დაკომპლექტდება 3 თვიანი და 6 თვიანი ჯგუფები. მეცადინეობას წაუძღვებიან მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები.

დამატებით ცნობებისათვის მიმართეთ საღამოს 6 სთ-დან 9 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ყაზბეგის პროსპექტი №39 (ყოფილი პავლოვის ქ.) 60-ე საშ. სკოლა ტ.39-21-78.

## ყურადღება

**საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ფირმა „ჭუჭაბი“, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, იწყებს ლისის ტბის ტურისტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, გთხოვთ მოგვაწოდოთ წერილობით თქვენი აზრი, როგორი გსურთ იხილოთ ლისის ტბის დასვენების ზონა.**

ჩვენი მისამართია: 380060 თბილისი ბუდაპეშტის №1.

საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“, ფირმა „ჭუჭაბი“.

## ვცვლი

სოხუმის ცენტრიდან თბილისში მასივების გარდა ერთ ოთახიან კერძო იზოლირებულ ბინას, ერთ ოთახიან ბინაზე.

ტელ.: 2-06-28
2-44-42

თერაპიის ს/კ ინსტი-ტი აცხადებს მსმენელთა მიღებას ექსტრასენსთა და სამკურნალო მაგნეტიზმის მეთოდიკის შემსწავლელ კურსებზე.

კურსდამთავრებულები მიიღებენ საერთაშორისო მოწმობებს, აქვე ფუნქციონირებს ბიოენერგიის შესამოწმებელი ზუსტი აპარატურა.

მეცადინეობა იწყება ა/წლის 21 სექტემბრიდან. ცნობებისათვის დარეკეთ 38-68-60 ყოველდღე 4 სთ-დან 8 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.

მისამართი: ქ.თბილისი, დიღმის მასივი, ლალიძის ქ.№4. თერაპიის სჰკ ინსტ-ტის ლაბორატორიული კორპუსი, 6 სართული, კოოპერატივი „გასტროჰეპატოლოგი“.

## მანდილოსანთა საყურადღებოდ!

სამედიცინო კოოპერატივი „დასტაქარი“ გთავაზობთ ორსულობის დადგენას საწყის ეტაპზე.

მხოლოდ ჩვენთან, კოოპერატივ „დასტაქარში“, შარდის ჩაბარებიდან 4 საათში შეგიძლიათ მიიღოთ უტყუარი პასუხი. დიაგნოსტიკა ხორციელდება იმუნოფერმენტული ანალიზით, საერთაშორისო კლასის პრეპარატების გამოყენებით. მეთოდის მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიურობა საშუალებას იძლევა ფეხმძიმობა დადგინდეს იმ ეტაპზე, როცა სხვა ტესტებით მისი დადგენა შეუძლებელია.

გარდა ამისა ლაბორატორია გთავაზობთ ტოქსოპლაზმოზის, ციტომეგალოვირუსული ინფექციის, ქლამიზოდის, წითურას და სხვათა დიაგნოსტიკას. აღნიშნული ინფექციათა გამომწვევები, გადადიან რა დედიდან მუცლადმყოფ ნაყოფზე, ხშირად იწვევენ თავისთავად აბორტებს, უშეილობას და ახალშობილთა განვითარების სხვადასხვა მანკს.

ჩვენი მისამართია: ვაჟა-ფშაველას 27, რესპუბლიკური საავადმყოფოს ბალნეოლოგიური განყოფილება

კოოპერატივი „დასტაქარი“
სამუშაო საათები: 10-დან 19 სთ-მდე, შაბათს 12 სთ-მდე,
დასვენების დღე კვირა. ტელ: 39-57-63

## ვაქირავებ

ფართს კომერციული საქმიანობისათვის

დარეკეთ საღამოს 7 საათის შემდეგ.

ტელ.: 74-42-83

## ყურადღება

„არიადნას ძაფების“ აქციის მოთამაშეთა საყურადღებოდ!

საწარმოო კოოპერატივი „მაგნოლია“ გთავაზობთ „არიადნას ძაფების“ აქციებს, თქვენ არ დაგჭირდებათ აქციის გასაღებაზე ზრუნვა, აქციის გასაღების მოვალეობას ჩვენ თვითონ შევასრულებთ, აქციის ღირებულება 200 მან, მოიმსახურებისათვის 50 მან. გადახდილი 200 მან. ერთ კვირაში გიბრუნდებათ და თქვენ ხდებით დიდი თანხის მფლობელი მოკლე დროში.

მისამართი: სასტუმრო „საქართველო“ თარხნიშვილის ქუჩით.

## ფირმა „კარდენახი“ გთავაზობთ

თუ გსურთ შეიძინოთ ჩამოსასხმელი კახური ღვინო და ჭაჭის არაყი მიმართეთ სულხანიშვილის ქუჩაზე (დახურული ბაზრის ტერიტორიაზე) მდებარე საფირმო მაღაზია „კარდენახს“, რომელიც ღიაა დილის $10^{00}$ საათიდან საღამოს $20^{00}$ საათამდე, შესვენებისა და გამოსასვლელი დღეების გარეშე.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ამზადებს აბიტურიენტებს ფიზიკაში გარანტიით: გამოცდაზე არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში აბიტურიენტს უბრუნდება თანხა მთლიანად და აგრეთვე საგარანტიო თანხა მომზადების თანხის ნახევრის ოდენობით.

**მისამართი:** ვაჟა-ფშაველას 1 შესახვევი №3, II სადარბაზო, ბინა 44

**რამაზ ჯამასაიშვილი**

ტელ.: 39-23-21

## ყურადღება!

**კომერციული ტელეკომპანია „აქტრისა მარგარიტა“ საკონკურსოდ იწვევს 20-30 წლის ქალიშვილებს, ვისაც სურვილი აქვს ბედი სცადოს სატელევიზიო დიქტორის ვაკანსიის დასაკავებლად. მოგვმართეთ 1 ოქტომბრამდე ყოველდღე კვირის გარდა 10-დან 20 საათამდე.**

**ჩვენი მისამართია: თბილისი, ნუცუბიძის, 187ა. ფირმა „აქტრისა მარგარიტა“. ტელ. 31-27-60**

## მსურს ვიქირავო

**ერთ ოთახიანი ან ორ ოთახიანი კეთილმოწყობილი, იზოლირებული ბინა, სასურველია ტელეფონით.**

**ტელ.: 37-06-64**
**37-58-25**

**დარეკეთ შაბათ-კვირის გარდა $11^{00}$-დან $17^{00}$ საათამდე.**

## მამაკაცთა საყურადღებოდ!

ოჯახური უსიამოვნება, დეპრესია, სასოწარკვეთილება, ხშირად მოსდევს სქესობრივ მოშლილობებს.

თუ გსურთ დაიბრუნოთ რწმენა საკუთარ ძალებში, კვლავ იყოთ ჯანმრთელი, მხნე და შრომისუნარიანი მიმართეთ კოოპერატივ **„კონტაქტს“**.

### პატივცემულო მამაკაცებო!

მხოლოდ ჩვენთანაა დანერგილი იმპოტენციის (მამაკაცის სქესობრივი უძლურობა) მკურნალობა ერექტორით-მეთოდით, რომელიც მიუხედავად იმპოტენციის გამომწვევი მიზეზებისა და პაციენტის ასაკისა გამოირჩევა მაღალი შედეგიანობით.

ჩვენთან დანერგილი ლაბორატორიული გამოკვლევები, მკურნელობის კომპლექსურობა (ერექტოროთერაპია, მედიკამენტოზური, აპითერაპია, ბიოველი, წერტილოვანი მასაჟი და სხვა) საშუალებას იძლევა პროსტატის მაღალ შედეგიან მკურნალობაში.

ჩვენთან მკურნალობენ მარილების დაგროვებას სახსრებში, ხერხემალში, რადიკულიტს, ნევრალგიას, კუნთების ანთებას.

**მოგვმართეთ მისამართით:** თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49ა, (სპორტსახკომის შენობა) II სართული, ოთახი: 9-10-11. ტელეფონი: 22-55-71.

მიღება: სამუშაო დღეებში 19-დან 21 სთ-მდე.

შაბათ-კვირას 10-დან 12 სთ-მდე.

**მკურნალობა ანონიმურია.**

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## ფირმა „მ ა გ ი“ გთავაზობთ:

**საოფისე ავეჯის კომპლექტს, თანამედროვე დიზაინით, სხვადასხვა ფერში შესრულებულ მსუბუქი კონსტრუქციის მაგიდებს, სკამებს, სავარძლებს, საწოლებს, ჟურნალის მაგიდებს, საკაბინეტო და ოფისის ავეჯს შინ მიტანით.**

მისამართი: ქინძმარაულის ქ. №15

ტელ. 71-92-53

ავტომანქანებისათვის გთავაზობთ!

საბჭოთა მანქანებისათვის გატაცების საწინააღმდეგო უნივერსალურ მოწყობილობას (სიგნალიზაციას). შეუძლია შეისყიდოს როგორც კერძო პირებს, ასევე ორგანიზაციებს ნაღდ ანგარიშზე ან გადარიცხვით.

მოგვმართეთ მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. №1

ტელეფონი: 37-06-64, 37-58-25

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მიხალები — 98-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 98-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში ხამჯერ ხამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.